

645 /  
1986 / 4



ISSN - 0321-1509.

# საქართველოს მწერთა კავშირი

3  
1986



# მონოპოპია მსოფლიოს ქალებს

23581

ჩვენ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალები, რომლებიც ქალაქ პრალაში — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში შევიკრიბეთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შექმნის 40 წლისთავის აღსანიშნავად, მივმართავთ მთელი დედამიწის ქალებს, მათს ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, პლანეტის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს!

ჩვენ ერთგული ვართ ფიცისა, რომელიც 1945 წელს დადეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დამფუძნებლებმა; ჩვენ ჩვენს ძალ-ღონეს ვახმარებთ ისეთი მშვიდობის დამკვიდრებას, რომელიც საიმედო და მტკიცე იქნება ჩვენი შვილებისათვის. ამ კეთილშობილურმა მიზნებმა გააერთიანა მრავალი მილიონი ქალი. ისინი განამტკიცებდნენ ფედერაციის რიგებს, ამრავლებდნენ მის ძალებს, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქალები მხოლოდ უომო მსოფლიოში მიაღწევენ თავიანთ უფლებებს. მაგრამ ჩვენი ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულია. კაცობრიობას ახალი უბედურება მოელოს: კოსმოსური ომის საფრთხე, გამაღებელი შეიარაღების გაძლიერება, მსოფლიო ბატონობის იმპერიალისტური გეგმები. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის თვით სიცოცხლეს. ყოველივე ეს ზრდის ბირთვული ომის საფრთხეს, რომელიც დედამიწაზე ყოველივე ხორციელის მოსპობას ნიშნავს. ასეთი ბოროტება არ უნდა დავუშვათ! ბირთვული კატასტროფა თავიდან უნდა ავიცილოთ.

ჩვენ მივცხადებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვისა და ამერაქის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრის შედეგებს და მათს ერთობლივ განცხადებას იმის შესახებ, რომ ბირთვული ომი არ უნდა მოხდეს და რომ არც ერთი მხარე არ ეცდება სამხედრო უპირატესობის მიღწევას. ეს უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობებს უქმნის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

ხალხები მოელოან, რომ შეხვედრის შედეგებს ბირთვული და კოსმოსური იარაღის თაობაზე მოლაპარაკების დასაჩქარებლად გამოიყენებენ, რაც კონკრეტული და პრაქტიკული საქმეებით უნდა გამოვლინდეს.

ჩვენ, დედამიწელ ქალებს, შეგვიძლია და მოვალენიც ვართ ბევრი რამ გვაკეთოთ თითოეულმა ჩვენს ქვეყანაში, იმისათვის, რომ ხელი შევუწყუთ მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლას საერთაშორისო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში რადიკალური გარდაქმნების მისაღწევად.

მაშ. მთლიანად შევიგნოთ ჩვენი პასუხისმგებლობა, ყური მივუგდოთ სინდისის ხმას, გავზარდოთ ჩვენი სიფხიზლე, ვიმოქმედოთ, სანამ გვიან არ არის!

მოდით, ერთად ვიბრძოლოთ ადამიანის სიცოცხლის უფლებისათვის, მომავალ თაობათა მშვიდობიანი მომავლისათვის. ჩვენი პლანეტა ბირთვულ მკვლელთა სამიზნედ არ უნდა გადაიქცეს.

ჩვენ „ვარსკვლავური ომების“ წინააღმდეგი ვართ, ჩვენ კოსმოსში მშვიდობიანი თანამშრომლობის გეგმების მომხრენი ვართ.

ჩვენ გვჭირდება სერიოზული ნაბიჯები განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის ყოველგვარი იარაღის ლიკვიდაციის გზაზე და არა ახალი ბირთვული იარაღი.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ხალხთა ურთიერთობას განსაზღვრავდეს არა შუღლი, არამედ გონიერება და ურთიერთგაგება. ამიტომ ბოლო უნდა მოედლოს იმპერიალისტური აგრესიებისა და ინტერვენციების პოლიტიკას, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უხეში გათელვა და აფერხებს ხალხთა პროგრესულ განვითარებას.

მსოფლიოს ქალებო!

მშვიდობა ადამიანის უპირველესი უფლებაა!

ჩვენ არ გვსურს ბირთვული ომის ხანძარში გადავიბუგოთ! ჩვენ სიცოცხლე გვწყურია!

ჩვენ ვიცით: მშვიდობის მარტოოდენ სურვილი არ კმარა. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ დღეს კიდევ უფრო გაბედულად, ვიდრე გუშინ.

იმისათვის, რომ გადარჩეს, კაცობრიობამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანები:

— არ დაუშვას კოსმოსის მილიტარიზაცია;

— შეწყვიტოს გამაღებელი შეიარაღება დედამიწაზე;

— შეამციროს, მთლიანად მოსპოს და აკრძალოს მთელი ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღები.

ჩვენ, ქალები, კაცობრიობის ნახევარს შევადგენთ. ეს უდიდესი ძალაა. მაშ ვიყოთ მამაცნი და უდრეკნი! ჩვენ უნდა დავძლიოთ ყოველივე, რაც ერთმანეთს გვაშორებს, და საბოლოოდ გავერთიანდეთ ომის წინააღმდეგ. მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს მშვიდობა!

საქ. სსრ კ. მარკსისი

# ქალთა საკეთილდღეოდ

„ოჯახის მრავალი პრობლემის გადაჭრის წინამძღვარი ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, ფარმატებით შეახამონ დედობა შრომითს და საზოგადოებაში სამაინორობაში აქტიურ მონაწილეობას“.

მ. ს. გორბაჩოვი.



ქალი საწყისია სიცოცხლისა, სიცოცხლეს გაფრთხილება უნდა, მით უფრო სიცოცხლის საწყისს.

ქალის, დედის, დის, ქალიშვილის კეთილდღეობისათვის ზრუნვა იგივე სიცოცხლისათვის, სიცოცხლის საწყისისათვის ზრუნვაა. ასეთი ამოცანა ესახებათ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და მისი სისტემის საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელობას და ეს არც არის გასაკვირი. ვინაიდან დარგში მომუშავე ყოველი ხუთი მუშაკიდან ოთხი ქალია.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მათი მატერიალურ და სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკის დედაღერძია. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სკკპ 27-ე ყრილობამ, რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის 2000 წლამდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფართო პროგრამა, რაც ითვალისწინებს ადამიანების შრომის, ყოფისა და ცხოვრების პირობების ძირეულ გაუმჯობესებას.

ქალთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მე-11 ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის სისტემის საწარმოებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა: ფართო მასშტაბით გატარდა საწარმოთა ხელახალი ტექნიკური გადაიარაღება და რეკონსტრუქცია, რამაც შეცვალა საწარმოთა ტექნიკური სახე, გააუმჯობესა შრომის პირობები; თანმიმდევრულად მცირდება ადამიანისათვის საშიში და მავნე სამუშაოები.

დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად, მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს გამომწეებული პროდუქციის მოცულობის შემდგომი ზრდა, მისი ხარისხისა და შრომის პირობების ძირეული გაუმჯობესების პრობლემა, — წარმოების ტექნიკური ღონის ზრდა, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, მაღალნაყოფიერი შრომისათვის სათანადო პირობების შექმნა უნდა მივიჩნიოთ.

დარგის საწარმოებში დაიდგა ათი ათასზე მეტი ახალი დაზღა-დანადგარი, მათ შორის პნევმომექანიკური სართავი მანქანები, უმაქრო საქსოვი დაზღები, მაღალმწარმოებლური

ტრიკოტაჟის მრგვალსაქსოვი მანქანები და სხვა. მოქმედ საწარმოთა გადაიარაღებაზე 80 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

სამუშაო ადგილების დამტვერიანება-დაგაზიანება სანიტარული ნორმით დასაშვებ სიდიდემდე დაყვანილია 8500 მუშისათვის. ახალი, ნაკლებმზურიანი დაზღა-დანადგარები დაიდგა და ხშირი შემცირდა 3000-ზე მეტ სამუშაო ადგილზე, ხოლო შრომის მავნე პირობების ზეგავლენისგან გამოთავისუფლდა 300-ზე მეტი მომუშავე.

ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული წყნეთის და თელავის სამკერვალო, თბილისის შალის საქსოვ ფაბრიკებში, თბილისის მუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო, უქსოვადი ნაწარმის ფაბრიკებში, გორის ბამბულის საწარმოო გაერთიანებაში, ფეხსაცმელის საწარმოო გაერთიანება „ისანსა“ და სხვა საწარმოებში.

შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით დარგის წარმოებებში მოეწყო 18 ათასი საგარდერობე ადგილი, 500-მდე საშხაპე ბადურა, ასევე ხელსაბანი, ამდენივე პირადი ჰიგიენის კაბინა და ა. შ. ბევრ საწარმოში გაიხსნა საავტორო და საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტები, მუშა-მოსამსახურეთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, მათ შორის ცხაკაიას ხალიჩების კომბინატთან შექმნილი და მენჯის აბაჯანის ბაზაზე მომუშავე სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი.

ქელი, უპირველეს ყოვლისა, დედა და მისთვის ზრუნვა მისი შვილებისათვის ზრუნვავე არის. ამიტომ, ზაფხულში, დარგის საწარმოთა ტაციონარულ პიონერთა და 17 შრომის ბანაკში პედაგოგებმა ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ მოზარდთა გაჯანსაღებას. დარგის საწარმოებთან 50-ზე მეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც 6000-ზე მეტი აღსაზრდელი უზრუნველყოფილია სათანადო მოვლით.

დარგის საწარმოთა კოლექტივები დიდ მუშაობას ეწევიან ლოთობის წინააღმ-

დებ, ზრუნავენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა უკეთ გამოყენების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ეწყობა დასვენებისა და თემათიკური საღამოები, ტურისტული ლაშქრობები, მუშაობს 14 კლუბი, 18 პროფკავშირული ბიბლიოთეკა (180 ათასი წიგნადი ფონდით), სტადიონი, საცურაო აუზი, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

ცნობილია, რომ მცირეა დედათა და ბავშვთა ერთობლივი დასვენების დაწესებულებების რიცხვი. ამიტომ თბილისის მუდ-კამეოლის კომბინატ — „საბჭოთა საქართველოს“ ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები უკვე ოთხი წელია კიკეთში თავიანთი მუშაკებისათვის აწყობენ დასასვენებელ ბაზას. კარგი თაოსნობა წამოიწყო თბილისის სართავი ფაბრიკის ხელმძღვანელობამაც. მან წლეულს, ბავშვთა იანვრის არდადეგებზე, ახალდაბის პიონერთა ბანაკში დედათა და ბავშვთა დასვენება მოაწყო.

წლითიწლობით ფრთხვს შლის ტურიზმი — აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალება.

ის, რაც გაკეთებულია, სრულად ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. ზემოთაღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მასშტაბის ღონისძიებებისა, რისი გაკეთებაც დაგეგმილია დარგში მომუშავე ქალთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ეს გეგმა ისახავს ქალთა შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების პირობების ძირეულ გაუმჯობესებას, მათი შვილების უკეთ აღზრდისათვის საგანგებო ხელშეწყობას.

სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებები ფართოდ ითვალისწინებს ქალის, დედის როლის ამაღლებასა და სამუშაო, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ნინო ლაკია,

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.



# სკკპ – დღევანდელზე უკეთესად

ამ ათიოდე წლის წინათ საწარმოში პირველად მისულმა ქალიშვილმა გაუბედავად შეაჯღო თვალი ნახევრადავტომატურ მძლავრ დაზგა-დანადგარებს და საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებულმა უკან გაბრუნება გადაწყვიტა. ასეც მოიქცეოდა, საამქროში რომ ვეტერანი დამრიგებელი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი გალინა ქარჩავა არ შეხვედროდა. სწორედ მან შეასწავლა ნინოს ძაფის გრეხვის ყველაზე ოპერატიული მეთოდები, დააახლოვა კოლექტივის წევრებთან, ურჩია მონაწილეობა მიეღო ყველა ახალგაზრდულ ღონისძიებაში.

– მეც გავთამამდი, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გამძლიერდა და საამქროს საერთო კრებაზე მოვითხოვე ერთდროულად ორ საგრეს დაზგაზე მუშაობის უფლება, – იგონებს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმიპოტკოს“ კორდის გაჭიმვის № 1 საგრეხი საამქროს მოწინავე მგრეხავი, სკკპ 27-ე ყრილობის დელეგატი ნინო ბეყოშვილი.

და კიდევ მისცეს ეს უფლება, რომ ერთდროულად 72 თითისტარით ემუშავა, თანაც კვლავ დამრიგებელს, გალინა ქარჩავას მიანდეს მისი მუერვეობა. ეს იყო 1975 წელს. საწარმოში ექვსი თვის მისულმა ოპერატორმა ნინო ბეყოშვილმა მოწინავეთა ზღვარი გადალახა და დამრიგებელიც და თანამოსაქმეებიც დაარწმუნა, თუ სად შეიძლება გადიოდეს ძაფის გრეხვის საუკეთესო მეთო-

დებით მომუშავის მიჯნა, როცა იგი საქმეს პროფესიული აზარტით ეკიდება.

პირველი ხუთი წლის განმავლობაში გვემით ვათავალისწინებული 250 კილოგრამის ნაცვლად 400 კილოგრამ მაღალხარისხოვან პროდუქციას აბარებდა ნინო ბეყოშვილი. მთელი მე-11 ხუთწლედის მანძილზე კი, რაც საგრეხი დაზგები გამოიყვალა, ნინო ორმაგად ასრულებდა გვექსს, ცვლაში 1 ტონამდე ძაფს ახვევდა და კალენდარში აღნიშნულ დღეებსა და თვეებს წინ უსწრებდა.

დღეს ჩვენი დელეგატის შრომით კალენდარზე 1989 წელია.

ამჟამად ძაფის დამუშავების ნინოსეულ მეთოდს სწავლობენ წარმოების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილებაში. სპეციალისტები წუთებში და წამებში ანგარიშობენ იმ ყველა ტექნოლოგიურ პროცესს, რომელსაც გრეხვის დიდოსტატი განსაკუთრებული სიმარჯვეთა და სისწრაფით ასრულებს და, რაც არც თუ ისე იშვიათად, საშუალებას აძლევს მის ბრიგადას პირადად ნინოს მოპოვებული წარმატებებით საუკეთესო კოლექტივად აღიარონ მთელ საწარმოში.

შრომის შესაშური სიყვარულითა და ერთგულებით დაჯილდოებული ქალიშვილისათვის მიღწეული ზღვარი როდია. დღეს გუშინდელზე უკეთ, სვალ – დღევანდელზე უკეთესად – ყოფილი დამრიგებლის ეს რჩევა მისი ყოველდღიური საქმიანობის დევიზია.

შრომისადმი ამგვარმა დამოკიდებულე-

ბამ, საწარმოს ავტორიტეტისა და ღირსებისათვის ბრძოლამ, საუკეთესო პირადულმა თვისებებმა ნინოს წილად თანამოსაქმეთა ნდობა და დაფასება არგუნა.

იგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, XI ხუთწლედის შრომის დამკვირვლის ნიშნით, არჩეულია საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის წევრად, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრად, ასრულებს თავისი ბრიგადის პარტი-გუგუფორგის მოვალეობას. არის საუკეთესო დამრიგებელი.

სასახელო შრომითი მიღწევებით ხელდამშვენებული, საკუთარი ლამაზი ბიოგრაფიით თავმოწონებული ახალგაზრდა კომუნისტი ნინო ბეყოშვილი მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის მუშაობაში, ყრილობისა, რომელმაც ახალი შემოქმედებითი ენერგიით აღავსო და მშობლიური რესპუბლიკის წინსვლისა და შენების დიდი გზები დაუსახა.

ნინო ბეყოშვილი მოსკოვში ყოფნისას, ყოველ დღით, ყრილობაზე დასასწრებად რომ მიდიოდა, ლელავდა. პოლიტიკური მოხსენების ყველა საკითხი მის გულის სიმს არხვედა და აზრებს ეხმიანებოდა. ნინომ, როგორც მუშათა კლასის ერთერთმა წარმომადგენელმა, დიდი აღიარება იგრძნო კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენების იმ ადგილის მოსმენისას, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა საზოგადოებაში ავანგარდული ადგილი განეკუთვნება მუშათა კლასს. სოციალისტური წარმოების სისტემაში თავისი მდგომარეობის, პოლიტიკური გამოცდილების, მაღალი შეგნებისა და ორგანიზებულობის, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის მეოხებით მუშათა კლასი რაზმავს ჩვენი საზოგადოებას, წამყვან როლს ასრულებს სოციალიზმის სრულყოფაში, კომუნისტურ მშენებლობაში“.

მთელი მოხსენება გულდასმით ჰქონდა მოსმენილი, მაგრამ სადამოოებით სასტუმრო „მოსკოვის“ მყუდრო ნომერში გაზუთებს მაინც შლიდა და კითხულობდა უკვე ნაცნობ აზრებს, ღრმად უკვირდებოდა, ფიქრობდა, მერე ისეც კითხულობდა და თავისი რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხანა და თანამოსაქმეები ედგა თვალწინ, მათაც ხომ ასე ესმით ჩვენი პარტიის მთხოვნა, როგორც მეო: „აღდეს პარტიის, მთელი ხალხის უპირველესი ამოცანაა გადაჭრით დაძლიონ არასასიკეთო ტენდენციები ეკონომიკის განვითარებაში, მიანიჭონ მას სათანადო დინამიზმი, ფართო ასპარეზი მისცენ მასების ინიციატივასა და შემოქმედებას, ჭეშმარიტად რევოლუციურ გარდაქმნებს“.



# ისინი სკკპ XXVII ყრილობას

საქართველოს ღირსეული წარმომადგენლები მოსკოვში დიდ ყრილობას ესწრებოდნენ. მისიელ სერგის ძე გორბანოვის ღრმად შინაარსიანმა პოლიტიკურმა მოსხენებამ, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საკავშირო ფორუმზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა დელეგატებს ახალი სამომავლო გეგმები დაუსახა. ისინი თავიანთ სამუშაო უბნებზე მოზღვაკებული ვნერგით, მისაღწევის უთუო მიღ-

წევის რწმენით, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდისათვის ბრძოლის სურვილით დაბრუნდნენ და ასლობლებს, მეჭობრებს, თანამოსაქმეებს, ნაცნობებსა თუ უცნობებს ყრილობის მსვლელობაზე, მის მიერ დასახულ ამოცანებზე, თვითუღი საბჭოთა აღამიანის უფლება-მოვალეობებზე საუბარი გაუმართეს.

აი ისინი:



ლუარა გვაჯაია თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ დირექტორია. მას დიდი შრომითი გზა აქვს გავლილი. თავდაპირველად თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროცესის ოსტატი იყო, შემდეგ – ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, განყოფილების უფროსი, იმუშავა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში სამკერვალო განყოფილების უფროს ინჟინრად, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორად. 1981 წლიდან ლუარა გვაჯაია ჩამორჩენილ სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“ დირექტორად გადაიყვანეს. განვლილ ხუთწლეულში ფაბრიკაში სერიოზული გარდატეხა მოხდა: სისტემატურად უმჯობესდებოდა ტექნიკური მანქანებლები. 1985 წელს ფაბრიკა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურა.

თავად ლუარა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

გალია არ ტემიევა თბილისის ტელევიზორების ქარხნის „ეკრანის“ № 1 სამონტაჟო საწარმოო საამქროში ათი წელია რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების მემონტაჟედ მუშაობს და ყოველთვიურ დავალებას 110 პროცენტით ასრულებს. კომუნისტური პარტიის რიგებში აქ მიიღეს. არის ინიციატივანი, ეძიებს სიხსნებს და შიდა რეზერვებს, უფრთხილდება ქარხნის ღირსებას და ნამდვილად ღირსია აღიარებისა, რომელიც წილად ხვდა, – იგი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს.



კლარა ფილიპოვა პროფესიით მეულსმენა, დიდი ხანია თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში მუშაობს. კლარა ყოველთვის გულმხურვალედ ეკიდება ადამიანთა წესიერი მომსახურების საქმეს და ხალხიც კმაყოფილი ჰყავს. ამიტომაც კოლეგებს შორის აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობს: მტკიცე კომუნისტი, პრინციპული და კეთილსინდისიერი მუშაკი ამჟამად სატელეფონო სადგურის ცვლის უფროსის თანაშემწეა.

ტომაც კოლეგებს შორის აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობს: მტკიცე კომუნისტი, პრინციპული და კეთილსინდისიერი მუშაკი ამჟამად სატელეფონო სადგურის ცვლის უფროსის თანაშემწეა.



გულნარა გოგიტიძე 25 წელია ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუნის კოლმეურნეობაში ჩაის კრფის. მისი მეუღლე ამავე კოლმეურნეობაში საკვებმომპოვებელთა ბრიგადის ხელმძღვანელობს. მე-10 ბრიგადამ, სადაც საქმეებს ახალგაზრდა ბრიგადის ხელმძღვანელი ჯუმალ ნურიძე უძღვება და რომლის წევრიც არის გულნარა გოგიტიძე, შარშან 215 ტონის ნაცვლად 252 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა. გულნარამ კი 6,5 ტონის ნაცვლად 13 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ჩაის ბუნქის მოვლასთან ერთად იგი აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმასაც ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს.



ნონა სარიშვილი ლანწუსთის რაიონის სოფელ გულიანის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაივა. მის მკერდზე ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და შრომის წითელი დროშის ორდენები კიაფობს. სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ გაუმარჯვია. იგი ჩაის კრფის პირველი კლასის ოსტატად ითვლება და დამსახურებული მეჩაიის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული. მუყაითმა მეჩაიემ მეთერთმეტე ხუთწლედში ერთ ჰექტარზე, გვერდური 50 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 100 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, დიდძალი ტუნგო, დაფნა და აბრეშუმის პარკი დაამზადა.





# ერთ საღამოს ალიზანიძეებს...

მდინარე აჭარისწყლიდან ხელმარჯვნივ, მთას აკრულ ერთ-ერთ გზაწვირის თუ დაღვებით, აუცილებლად სოფელ დანდალოში მოხვდებით.

სოფელი დანდალო ქედის რაიონში მდებარეობს, ზემო აჭარაში. აქ საკმაოდ პოპულარული მეთამბაქოე ქალის, ვენერა ალიზანიძის გასაცნობად ამოვედით.

გზად სკოლასთან შეეჩერდით, სკოლის დირექტორს ელენე ჭვარშიევილსა და ახალგაზრდა ნუსიკის მასწავლებელს ცისანა კონცეპტის ალიზანიძეების სახლის ჩვენება ვთხოვეთ.

შემოდგომა იყო, კოკისპირულად წვიმდა, მანქანას აღმართზე ასვლა უჭირდა.

სასოფლო საბჭოს შენობას რომ მივადწიეთ, პარტიული კრებიდან ახლად გამოსულ ვენერა ალიზანიძის მეუღლეს, მეთამბაქოეთა ბრიგადირს დავით ალიზანიძეს შევხვდით.

გზა ახლა მისი „ნივით“ განვადრძეთ.

წვიმისაგან განბანული თამბაქოს პლანტაციები ვარდისფერად ყვავდა.

— ამ ყვავილს დროზე უნდა მოცილებოდა, — გვიხსნიდა ვენერას მეუღლე, — თორემ, თუ თამბაქოს ფურცელზე დაეცა, არ გაანარებს, დააღობს, საარსებო წვეწვს გამოსწოვს...

ალიზანიძეების ძველებურ ოდა-სახლში ბუხარი ენთო. ბინდებოდა. გარეთ კვლავ წვიმდა. საჩეხის გვერდით, თამბაქოს საშრობიდან ფურცლებს ასხმულები მოჩანდა... ცოცხა ქვემოთ. მთის ოდნავ დაქანებულ ფერდობებზე კი თამბაქოს ზრდადარსებულ ბული პლანტაციები იწყებოდა.

— ახლა რაღად გვინდა წვიმა, — ბუხარში ცეცხლს შეშა შეუშატა ოჯახის თავკაცმა — მთელი წელია ცის წემი არ გვინახავს და თამბაქოს ზრდა დაკვდა.

— და მაინც ვაჯობებთ ამინდს... — შემოგვცინა ქალბატონმა ვენერამ და თამბაქოს ახალი ფურცლები ანებდა.

ცნობისმოყვარეობით დავაცქირდი ვენერას თითებს და შევეკრთი.

— ძნელია თამბაქოს მოვლა? და საერთოდ, როგორ ხდება მისი ნერგის გამოყვანა?..

— გაზაფხულზე, დაახლოებით მარტში, სათბურში ჩითილები გამოგვყავს. მათი დაღვება და საგანგებოდ დამუშავებულ ნიდაგში ვრგავთ, ვუვლით, თავს დავფოფინებთ, ვთონით, სასუქი შეგვაქვს. მათი-ივნისში სამჭერ ვთონით, თან ფოთლების ასხმულებს ვაკეთებთ და საშრობში ვკიდებთ.

ახლა გარეთ, ეზოში ცელოფანის საშრობები გვაქვს ამენებული. ადრე ხის ვაგონეტები გვექონდა და ძალიან ვწვალბდით — დილით მწვეში გავვექონდა და საღამოს ისევ ვაბრუნებდით. ძალიან ვიტანჯებოდით. ადვილი ხომ არ არის დაახლოებით ოცამდე ვაგონის გადატანა!

— როდემდე ტენთ თამბაქოს ფურცლებს?

— დაახლოებით ნოემბრის დამდეგამდის. შემოსული თამბაქოს ფურცელი აუცილებლად მოყვითალოა.

— სულ რამდენი წელია, რაც ამ საქმეს ემსახურებით?

— ოცდასამი წელია. და ჭერ არ მახსოვს 700 კილოზე ნაკლები ჩამებარებინოს. პატარა ბავშვი მყავდა და მაინც უფლებილი თამბაქოს. მაშინ არც დეკრეტული შევებულე არსებობდა და არც სხვა რამ თოთოზავშიანი ქალებისათვის.

— წლეულს რამდენის ჩაბარებას ვარაუდობთ?

— გეგმით 400 კილოგრამი შევალემა, მაგრამ 800-ზე მეტს ჩავაბარებ.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ხიტყვას არ გადაუხვევს.

ოთახში წვიმისაგან დასველებული ბავშვები შემოვრიან — მეცხრეტკლასელი ზაური და პატარა მადხაზი, ბუხართან გაშლილ ტყავზე სხდებიან და ცნობისმოყვარეობით იცქირებიან. მათ სიცივის, წვიმის, ტალახის სუნე შემოჰყვათ.

დედა თამბაქოს თავს ანებებს, ბიჭებს სველ ტანსაცმელს ძალისძალად ხდის და მშრალს აცმევს.

— დედი, ბიჭებმა თქვეს, მთაში თოვლი მოვიდა, საქონელს სოფელში მიგრეკებინო, — ჩურჩულით უყვება დედას ზაური.

— სამი ძროხა მუყავს სამოვარზე და ერთი ხარი...

— ახლა ალბათ საქმე უფრო მოგემატებათ.

— ალბათ, მაგრამ სიკეთეც ბეჭტი მოაკეთე, ხარი რომ არა, როგორ დავამუშავებდით მიწას.

— აქ ზოგან ისეთი მიუვალი ადგილებია, რომ მართლაც ვერ მიუღვება ტრაქტორი...

— ძველებური გუთანი გვაქვს, გაზაფხულშით გავმართავთ ხოლმე და ვხნავთ. — საუბარში ერევა ვენერას მეუღლე.

— ბიჭები თუ გეხმარებიან?

— ბიჭებიც და ქალოშვილიც... — ამბობს დედა, ოთახიდან გაღის და საოჯახო ძველი ალბომით ბრუნდება. ფურცლავს ალბომს და მიუყვება თავისი ბავშვობის, მშობლების, ძმების, სიყვარულის ამბავს.

სოფელი ხარაულა დანდალოს მეზობლად მდებარეობს. ვენერა ალიზანიძეც აქაურია.

— ალიზანიძე დათიყოს გვარია, ჩემი გვარი ბერიძეა. ოთხი ძმის ნებიერა და ვიყავი. ნაბოლარას ძმები მანებვიერებდნენ. ზამთარში, ბუხრის პირას ერთად რომ შევიყრებოდით ხოლმე, ფანდურს მომცემდნენ და ვმღვროდით ჩვენებურ ძველ სიმღერებს. მას შემდეგ, რაც ჩემი მშობლების სახლიდან წავიდი, ფანდურისათვის აღარ მომიცვლია, ე... სადღაა მაგის დრო!..

მცირე ხნით ჩუმდება მასანძელი და მერე ნაჭაფი თითებით ფურცლავს ალბომს.

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდით?

— მასწავლებლობაზე. ხშირად სიწმარშიც კი ვხედავდი საკლასო ოთახს, მერხებზე ჩამწკრივებულ მოსწავდეებს, რომელთაც თითქოს ისევ საკონტროლო წერას უუტარებ, დავდივარ რიგებს შორის და ჯა-



ცქერი მათ. სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმში ჩავირიცხე, მაგრამ სწავლა ვეღარ განვაგრძე. მისაღები გამოცდებიდან დაბრუნებულს სოფელში. დავითი შემხვდა და სულ დამავიწყდა ტექნიკუმი. გავთხოვდი. შეიღებე შეგვეძინა, სამი ვაჟი და ერთი ქალი...

— გოგონას ალბათ თქვენსავით ანებივრებენ ძმები...

— ვარდო უველაზე უფროსია, ასე რომ, ის უფრო ანებივრებს ძმებს: ოთარს, ზაურსა და მალხაზს.

— ახლა ხად არიან ვარდო და ოთარი?

— ოთარი მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობს, ვარდო — სამედიცინო ტექნიკუმში.

მასპინძელი ხავსე კალათიდან სათითაოდ იღებს ფურცლებს, პატარა სკამზე ჩდება და აცმას განაგრძობს.

— ზაურ, ვინ გინდა გამოხვიდე, სკოლას რომ დამთავრებ?

— ზაურს მორცხვად ელიძება, მუხლებზე გადაშლილ წიგნს ფრთხილად ხურავს და წიგნის უდას დასცქერის.

— მათემატიკა უყვარს ძალიან, ფიზიკა... — მის მაგივრად მიპასუხებს დედა, — თბილისში, კომაროვის სახელობის მათემატიკურ სკოლაში მინდა გადავიყვანო. უფრო ღრმად რომ დაეუფლოს ამ საგნებს.

— მალხაზ, შენა?

მალხაზმა დედასთან მიიჩინა, მის ზურგს ამოეფარა, მერე პატარა ხელები კისერზე შემოაქლო და გაგვიცინა.

— მე მფრინავი უნდა გამოვიდე, — გვითხრა და ოთახიდან კისრისტებით გაიქცა...

ბუხარში საამოდ ტაკუნებს ცეცხლი.

— ეს ბუხარი ძველი უნდა იყოს მეთქი, ვთქვი.

— დიან, ძველია... რვა და-ძმა ვიწრდებოდით ამ სახლში. უველა აქეთ-იქით წავადა. მე დავრჩი მარტო, — ამბობს დავითი. — მერმისს ახალი სახლის აშენებას ვიწყებთ, ძველის დაზარავს ვფიქრობდი, მაგრამ... ეს შემეტება, პაპაჩემის მამის აშენებულია ეს კედლები...

და მეჩვენება თითქოს კედლებიდან ვადმოდიან წარსულთა აჩრდილები, მერე ცეცხლის პირას ჩაიმუხლებს დავითის უხუცესი ბებია და მოყვება:

— იცით, რა დიდი იყო ჩვენი სოფელი? ახლა ხომ უყურებთ როგორია და ჩემს ბავშვობაში უნდა გენახათ, რა მკიდროდ იდგა ერთიმეორის გვერდით სახლები. ერთი ჯიუტი თხა გვყავდა, ბანიდან ბანზე ხტომა-ხტომით უცებ გადასერავდა ხოლმე სოფელს და ისე ჩადიოდა მდინარე აპარისწყალზე წლის დასაღევად.

გარეთ კვლავ კოკისპირულად წვიმდა... თალხი ნისლის საბურველი ეფინა სოფელს...

აღმანიძეებისას ბუხარი კი გივგიზედა, ძველისძველი, მრავლისმომსწრე ბუხარი.

ნინო კიკილაშვილი



დოდო ვადაჭკორია



ქეთევან ჭილაშვილი

# გატი სიხარულის დღე

დოდო ვადაჭკორია და ქეთევან ჭილაშვილი.

ეს ორი სახელი ერთმანეთისაგან განუყოფელია: —

როგორც მეგობრების, როგორც ქართული საბავშვო მწერლობის კეთილი მსახურების.

ორთავ თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ჩვენს მწერლობაში, ორთავ თავდაღებულად ემსახურებიან კეთილშობილ საქმეს — თაობათა აღზრდას. — როგორც პოეტები, პროზაიკოსები, მეზღაპრეები, დრამატურგები, მთარგმნელები... ქართული პრესა არაერთხელ გამოეხმაურა მათ მშვენიერ წიგნებს, ხაზი გაუსვა მათ საზოგადოებრივ ღვაწლს.

ორთავ ბედნიერია, რამეთუ ჩვენმა პატარა მკითხველებმა შეიყვარეს მათი საუკეთესო ნაწარმოებები, შეიყვარეს თვით ავტორებიც, რომლებსაც ხშირად ხვდებიან სკოლებში, პიონერულ ორგანიზაციებში, საბავშვო ბაღებში...

დოდო ვადაჭკორია ნაყოფიერად იღვწის საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდულ ლიტერატურის სექციის ბიუროში; ფრიად საპატიოა, რომ იგი საკავშირო მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის საბჭოს წევრია. 15 წიგნის ავტორი, მალე რუსულ ენაზე თარგმნილი რჩეული მოთხრობების კრებულით გავსაუბრება საბჭოთა კავშირის ბავშვებს.

ქეთევან ჭილაშვილი 15 წლის მანძილზე მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის პასუხისმგებელი მდივანი იყო და ბევრს კეთილად გვახ-

სოვს მისი ღვაწლი და ისიც, რომ მისი მოთხრობების ცხრა წიგნი ამშვენებს ჩვენი ნორჩი მკითხველის თაროს.

მათ გასულმა 1985 წელმა დიდი გამარჯვება და სიხარული მოუტანა. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით დოდო ვადაჭკორიასა და ქეთევან ჭილაშვილს შიო მღვიმელის პრემია მიენიჭათ!

ეს სასიამოვნო ამბავი მთელის გულით გაიზიარეს მათი ნიჭის პატივისმცემლებმა, მათი ღვაწლის დამთასებლებმა და ყველაზე მეტად მათმა უერთგულესმა მკითხველებმა — პატარებმა, ოქტომბრელებმა, პიონერებმა.

შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატებთან ერთად, დიდხანს გვეხსოვება სალამო, რომელიც „ნაკადულის“ წიგნის სახლმა მოაწყო. დარბაზი გავისო ნორჩებით. მათი მშობლებითა და პედაგოგებით. სალამოზე მოვიდნენ ქართველი მწერლები, ლაურეატების მეგობრები და კოლეგები. ყველა სიყვარულით ულოცავდა მათ ღირსეულ ჯილდოს, იზიარებდა მათ დიდ სიხარულს.

ყურნალ „საქართველოს ქალის“ წარმომადგენელმა მწერლებს დოდო ვადაჭკორიასა და ქეთევან ჭილაშვილს გადასცა ჩვენი რედაქციის „დიმილის პრიზი“.

სულითა და გულით ვულოცავთ ჩვენს მწერალ ქალებს დამსახურებულ ჯილდოს და ჯანმრთელობასთან ერთად ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

# მეგობარი

მხატვარი ნანა მახსინძე

6030 ლა



გარიგრაზე გარეთ გამოსული შალვა დიდად გაკვირებული დარჩა, საპირფარეოში რომ ეზოში ვეღარ იპოვნა.

— როგორც მახსოვს, შინიდან არსად გავსულვარ, არც დამილევია-სადმე. — კარგად მიიხედ-მოიხედა, სახლი და მეორე სართულზე ამავალი კიბე ერთხელ კიდევ მოათვალიერა. დაბნეულმა მხრები აიჭყრა. ერთ წამს შეეჭვდა: „მგონი შინა ვარ და არცა მიძინავს“.

მერე სახლის გვერდზე გავიდა და შუღვა; თავისი ეზოს ხეხილი მანანა გელაშვილის კარმიდამოში მოყუნებული რომ დაინახა.

— დედაკაცო! ეს რა ამბავია, გამოდი ჩქარა, არ გინდა ნახო ჩვენი საპირფარეო სად წასულა? — ასძახა ღია ფანჯარაში თანამეცხედრეს.

— აი, დედა ღვთისა გავიწყრეს, შე ბედოვლათო, რა ჭირი გეცა, ნეტა რით გამიბზრუვე ეგრე ადრიანად? — ქალს შიშველი ფეხები წაუყო ფოსტლებში, თან დილის ხალათს იცვამდა, თან კიბეზე მიჩლტუნობდა, — რას დამფუთე, როცა საპირფარეო მჭირდება, შენ არ გეძახი, თითონაც კარგად ვაგნებ.

— აბა მაშ ეხლა მიდი და მიაგენი.

— დედაკაცმა ის იყო კიბე ჩამოათავა, რომ ბოლო საფეხური ფეხქვეშ გაუსლტა და სახლიანად ნელ-ნელა გაცურდა დაბლა, ხევი-საკენ.

ქალმა ერთი კი მიიხედა უკან, მერე გულგახეთქილმა იკოვლა და ეზოში გაჭენდა.

ერთდროულად აქეთ-იქითაც მოისმა კვილი და, განთიადის მტრედისფერი რიკრაჟი სხვადასხვა მხრიდან გამოვარდნილ განწირულთა გნისით აივსო.

მეწყერმა ერთ კვირაში, მერცხლის ბუდე-სავით ნაშენი სახლები, ნაყოფით დამძიმებული ხეხილი, უხვმოსავლიანი ბოსტნები, დიდის რუდუნებით მოვლილი ვარდ-ყვავილები, მსუბუქი მანქანების სადგომები და საქათმეები ხევეში ჩაუძახა.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, რადგან ნგრევა ისე ნელა დაიწყო, რომ ავეჯისა და უამრავი ხარა-ხურის გამოტანაც კი მოასწრეს.

სახელმწიფომ დროულად გაუწოდა დახმარების ხელი დაზარალებულთ: მისცეს უფრო უკეთესი ბინები, დაზღვევის თანხები და ყოველმხრივ დაანუგეშეს, მაგრამ ადამიანები მაინც ვულდაწყვეტილი დაემშვიდობნენ თავიანთ ძველ უბანს.

ზოგიერთისა თუ მთლად დაინგრა, ზოგისა მხოლოდ დაიბზარა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ ავარიულად მიიჩნია და ვკე-ლა გამოასახლა. მხოლოდ ერთი ავარიული შენობიდან ვერაფრით გამოიყვანეს შიგ მცხოვრები დედა-შვილი.

დედის პასუხი მოკლე და ამომწურავი იყო:

— სადაც ჩემი შვილი, — მეც იქა!  
მისმა ქალიშვილმა კი, ორმოციოდე წლის, გაუთხოვრად დარჩენილმა უსინათლო ლამა-

ზმა ნინომ, თავისი ჯიუტობით საგონებელში ჩააგდო ყველა.

ფეხის ხმაზე უსინათლო კარებში გამოდგა და თავადერილი გაჩერდა.

— გამარჯობათ, ნინო! რაი აღმასკომიდანა ვართ. კაცებმა რომ ვერაფერი გააწყეს თქვენთან, ასლა ქალები გამოვგზავნეს. მაინც რატომ ჯიუტობთ? თქვენი თავი თუ არ გებრალემათ, დედათქვენი მაინც შეიბრალებთ. აქ ცხოვრება ძალიან სამიშია, ამ დაბზარული კედლების ქვეშ ხომ მეწყურია... ყოველ წუთს ძისალოდნელია ხევში ჩაშვადვს.

უსინათლომ ორი სკამი გამოდგა ეზოში და დაჯდომა შესთავაზა სტუმრებს. თვითონ ეზოში გაიარა დაფიქრებულმა. სიჩუმეში მხოლოდ მისი ხშირი სუნთქვა ისმოდა. შემობრუნებულს ცრემლები ჩამოსდიოდა, რომელიც ქალურ მაღალ მკერდს უღებოდა. კენარ ტანზე კარგად მორგებული საღათისფერი კაბა ეცვა. შიშველი ფეხები ყავისფერ დაბალქუსლიან ფეხსაცმელში წაედგა. წაბლისფერი თმა თავზე შემოეგრანა, თეთრ-ყირმიშ სახეს უხდებოდა ჩამოქნილი ცხვირი და ალისფერი ტუჩები.

ფეხს მსუბუქად ადგამდა, ისეთი თავისუფალი მიმოხვრა ჰქონდა, თითქოს თვალხილული ყოფილიყო. ოღონდ მისი თვლების ფერს ველარავინ იხილავდა, რადგან დაშრეტილთ ისე უმოძრაოდ ჰფარავდა გრძელწამწამებიანი ქუთუთოები, თითქოს ჩასძინებიაო.

საფიქრალსა და საჭოჭმანოს ეტყობა ცრემლით გაუკვალა გზა. სტუმართა წინ შეჩერებულმა ნაღვლიანად გაიღიმა და საამო ხმით თქვა:

— კარგია, რომ ქალები მოხვედით. მინდა ჩემი სათქმელი გულახდილად ვითხრათ და გთხოვთ გამიგოთ. დედაჩემს რა აქვს შესაბრაღისი: კარგი მომნაგრე და მოსიყვარულე მეუღლე ჰყავდა. ბედნიერებაში და სიხარულში გაატარა თავისი ახალგაზრდობა.

ცალკე გადასვლა თუ არ უნდა, ვაფიქვილთან და შვილიშვილებთან გადავიდეს, კიდევაც გაუხარდებათ. მე კი, ახლაც მარტო ვარ და, მაშინაც მარტო ვიქნები. დედა საშუალოდან

სალამოთა მოღის. საჭმელს შეჭამს და მეზობლებში უყვარს გასეირნება. ძილის დროს მოვა და დაიძინებს.

ნინო იღიშება, მაგრამ კარგად შენიღბული სამდურავი მაინც ჟონავს მის ხმაში.

— მე ამ სახლში დავიბადე, აქ გავატარე ჩემი ცხოვრების ბედნიერი წლები. ცხრაშვიტი წლისამ დავკარგე თვალის ჩინი, მაგრამ გონების თვალთ ვხედავ ყველაფერს, ოთახებს ვალაგებ, საჭმელს ვამზადებ, ეზოში, ბაღსა და ბოსტანში ვსაქმიანობ, წყალი მომაქვს წყაროდან, მახსოვს, სად რომელი ხე და რომელი ფერის ვარდი დავრგეთ მე და მამაჩემმა. მესმის მათი ფოთლების ჩურჩული. აქ ბევრი მგალობელი ფრინველია. ასე მეგონია, ჩემს გასართობად უსტვენენ ასე ბევრიად. ვინ იცის, იქნებ ისინი უფრო ხვდებიან, რომ მენატრება კინოში წასვლა, ტელევიზორის ცქერა, წიგნის კითხვა და თვით მათი ლამაზი ფრთების დანახვაც.

უსინათლოს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და გაეღიმა:

— მე ხომ იმ კაკლის ხემდეც მივდივარ, რომელიც ჩემი მესაიდუმლეა. მხედველობასთან ერთად დავკარგე ჩემი თანაკლასელი და რჩეული. იმ ადგილას მისულს ისევე მესმის მისი ჩურჩული, რომელიც ისევე და ისევე მეფიცება სიყვარულს. ოცი წელი გავიდა და დღესაც ჩამესმის მისი ხმა, რომელიც ოცნების ბურუსში მხვევს. იქ მისული ისევე ვხედავ მის ბრიალს თვალებს და მის ლამაზ ქორხორს ვეფერები.

ქალები თვალზე მომდგარ ცრემლებს მალავდნენ, მაგრამ ნინოს რას გამოაპარებდნენ.

— ნუ სტირით. თუ გებრალეობით, ნუ გადამიყვანთ იძულებით აქედან ნურსად. იქ მაინც ვერ ვიცოცხლებ, იწამეთ ღმერთი, გამიშვით ამ გარემოსთან ერთად დამმარხოს მეწყურმა. ახალ სახლში და ახალ გარემოში ხომ მართლა ბრმა შევიქნები. შემობრალეთ, ნუ დამივსებთ გონების თვალსაც, ნუ წამართმევთ ამ ერთადერთ ბედნიერებას.

დაღმართში ბაღახორეულ ქვის საფეხუ-

რებზე შევებინა დედაკაცი ჩამოდის უხმაუროდ. უსინათლომ მაშინვე შეწყვიტა ვედრება და შეეხმიანა:

— მოხვედი, დედი? ახლავე შევანელებ სადღის.

დაიხარა და თალარს ქვეშ, ვარდებს შორის აბინებულ ოხრახუშზე ისე ვადანატარა გრძელი თითები, თითქოს კლავიმებს ეხეზაო. სწრაფად ამოკრიფა და ქინძთან გადინაცვლა, შემობრუნებული რკანის ბუნქებთან მივიდა, მუქი, პირისფერი, წვრილი ყვავილებით რომ ვადაპენტილიყო. თითები დაბლიდან მაღლა ააყოლა და ფოთლები ფრთხილად შეაცალა.

ქალები გაკვირვებული უმზერდნენ მის საქმიანობას. ნინომ მწვანელი მომინანქრებულ თასზე ვარცხნა და ოთახში შეიტანა.

სტუმრებმა ნინოს დედას შეხედეს, რომელსაც დიდრონი თვალები დარდისგან კუპრით ჩაშვებოდა, მისი სახის ღრმა ნოკებში, წლოვანებასთან ერთად, დიდი მწუხარება ჩასახლებულიყო. დედა ხომ შვილის ბედისა და უბედობის განუყოფელი მოზიარეა. უსინათლოს რა გაემტყუნება, როცა თვალხილულნიც ვერა ვხედავთ ხანდისხან დედის უანგარო სურვილებსა და ნატვრას, რომელიც ისევე შვილებისათვის სჭირდება. დედა ყველაზე მეტად გრძნობს დედაშვილობის უხილავ სულიერ სიმებს და არ ძალუძს მათი დაწყვეტა, რადგან იცის ამას შინაგანი ტკივილი მოჰყვება, რომელსაც ვერ გადაიტანს.

შვილს რომ არაფერი გაეგო, ხელით ანიშნა ქალებს, — რა ჰქენითო.

— ვერ დავითანხმეთ. — თქვეს სტუმრებმა და წასასვლელად წამოდგნენ.

— აბა რა ვქნა; — სადაც შვილი, მეც იქა, — ჩაილაპარაკა დედაკაცმა.

უკან გაბრუნებული ქალები გუნებაში შესთხოვდნენ ბუნების ძალას, რათა მომხდარიყო სასწაული და ამ უსინათლოს ბუდე არ დანგრეოდა.

თინა ბიკაშვილი

# წაუკითხეთ პატარებს

## სარკამარტი

სალადობო, საოცნებო, ქალთა დღეა, რვა მარტია, გაზაფხულის სურნელება რა ნეტარობს, რა ანთია!

ამ უნაწეს დღესასწაულს სხვა მადლი და ეშხი მოსავს, დედა მარად შვილებს გვლოცავს, მოვეფეროთ დედიკოსა.

სიხარული ვაგრძნობინოთ დიდებებს და დაიკონებს, მზის დიმილი, წრფელი სიტყვა, მოვაულოთ იის კონებს.

ქალებს უნდათ: შრომა-გარჯით რომ მაშული ვასახელოთ, ჩვენი გული, ჩვენი მაჯა შეემატოს საქართველოს!

## ალექსანდრა დიდბაშვილი

# სახელი

ერთადერთი მოფაშფალებული წინაკბილივით შემორჩა სოლომონი თავის ძველ ოჯახს. სიბერეში შვილიც მოუკვდა, მაგრამ შვილიშვილები დაჩნდნენ გამრავლებულნი და ეს ამშვიდებდა. გასათხოვარ-დასაქოწინებელი შვილიშვილები მალე შვილთა შვილიშვილებს ჰპირდებოდნენ და განსვენებული შვილის მაგივრადაც თვითონ ხარობდა. მისი აზრით, ის კაცი კი არ არის მკვდარი, ვისაც შთამომავლობა უმრავლდება, მკვდარი ის არის, ვინც უძეოდ გადაიქუხება. ჰოდა, რაკი მისი შვილის ნაშვირნიც გამრავლების იმედს იძლეოდნენ, შვილის მაგივრადაც ხარობდა სოლომონი. სკლეროზი ჯერ კიდევ არ სჭირდა ბერიკაცს და არც რამე ტკივილი აწუხებდა. კარგი იყო, შვილიც რომ ცოცხალი ჰყავდეს, მაგრამ ბედნიერება და უბედურება სომ ჩვენზე არ არის დამოკიდებული და ვის რას ვუმშველით, ბევრიც რომ ვიტყვით და თუნდაც დარდს გადავყვეთ. ეს კარგად იცოდა სოლომონმა და ვულს იმაგრებდა: პაპა მაინც რომ დიდხანს ჰყოლოდათ შვილიშვილებს და უმწყემსოდ დარჩენილ ღორ-ხბოსავით არ დაქსაქსულიყვნენ. ახლა კი ყველანი ერთად იყვნენ და და-ძმური სიამტკბილობით ცხოვრობდნენ.

— რა დავარქვათ, პაპა? — ჰკითხა ერთ-ერთმა შვილიშვილმა, როცა სოლომონის პირველი შვილთაშვილის დაბადების დრო მოასლოდა.

— რაც გავიხარდებათ, ის დაარქვით, აჟ გოგო გაჩნდა. თუ ბიჭია და...

— ვიცი, ვიცი. პაპის სახელს დავარქმევთ.

— სახელი დედამ უნდა შეარჩიოს, რაც გაუხარდება, — თქვა ვიღაცამ.

— ბიჭს მამა-პაპამ უნდა დაარქვას სახელი, გოგოს კი... სულერთია.

თუმცა კოლმეურნეობა მუხლგამაგრებული იყო, გრძელი ვენახი მაინც საკუთრივ შემორჩა ბერიკაცს. სანამ თავში ავიდოდა, ილღებოდა კიდევ. ავიდოდა, დაისვენებდა და მერე იწყებდა მუშაობას.

იმ დღისთავე ვენახის თავში მუშაობდა, ერთ-ერთმა შვილიშვილმა რომ ქაქანით აირბინა და გოგო გვეყოლო, მიახარა.

— გაიზარდოს, შვილო! პირველი შვილი გინდა გოგო იყოს და გინდა ბიჭი, ერთნაირად სასიხარულოა. მთავარია, სახელიანი გაიზარდოს და მეტი არაფერი.

სახელიანი... სახელი... ნეტავი რას დაარქმევენ პახელად? მის ცოლს ნინო ერქვა და კარგი დედაცაი იყო, რბალს თამარი ჰქვია, მის დედას კი ქეთევანი ერქვა. ბევრი კარგი სახელია ამ დალოცვილ ქვეყანაზე და, რაც უნდა დაარქვან, მაინც მოუსდება.

მერე ისევ ვენახისა და ბოსტნის საქმეს მიუბრუნდა ბერიკაცის ფიქრი და ბავშვის სახელი იქამდე აღარ გახსენებია, სანამ მისი ერთ-ერთი შვილიშვილი სასოფლო საბჭოდან არ დაბრუნდა და არ ახარა, ხესილი დავარქვითო.

- რა დაარქვით? — ჩივილებით იკითხა ბერიკაცმა.
- ხესილი.
- ხესილი რა არის, შვილო?
- სახელი.
- სადაური სახელია?
- რა ვიცი მე.
- რას ამბობს ეგ სახელი?

— რას უნდა ამბობდეს, სახელია.

— აბა, ვაიმეორე!

— ხესილი.

— დანსომება გამიჭირდება, შვილო. ძნელი სახელია, — უპასუხა ბერიკაცმა, თავისთვის კი ასე გაიფიქრა: — ხესილი... ხესილი... ხესილს არ დავივიწყებ და ეგვეც შეხსომებაო. ერთი სიტყვით, ყველაფერს აიტანს, თუ ბედს შეურთებ. არადა, ახირდი, რამდენიც გინდა, ვინ რას მოგიმენს?!

ხანი გავიდა. გოგონა წამოიზარდა და ტიტინ-ხირბილი ისწავლა. ბერიკაცი, მართალია, კიდევ უფრო დაბერდა, მაგრამ ვენახის თავში ასვლას მაინც ახერხებდა და საქმიანობასაც არ უშვებოდა.

— შვილო, ხესილი! — გასძახებდა სოლომონი, როცა დაიღლებოდა და შესვენებას დააპირებდა.

— რა გინდა, პაპა? მიეჩვიე ხესილი „ხესილის“ ძახილს, რაკილა პეპერა ყოველთვის ამ სახელით იხსენიებდა.

— ზევით წამოდი, შვილო, ზევით!

მართალია, ხესილიმ უკვე კარგი ხირბილი იცოდა, მაგრამ მაინც უჭირდა ხუთასმეტრიანი ვენახის სულმოუთქმელად გარბენა.

— მოვედი, პაპა, რა გინდოდა?

— წადი, შვილო, ნიტრით წყალი წამომიღე!

ბავშვი ისევ უკან ბრუნდებოდა და წყალი მიჰქონდა ბერიკაცთან. ხანი გადიოდა.

როგორც კი ბერიკაცის ძახილს გავიგონებდი, „შვილო ხესილო“, ვიცოდი, რომ ხესილის ეძახდა და წყალი უნდოდა. ხესილიც მიეჩვიე და დამახებისთანავე ნიტრით ხელში გარბოდა.

ერთხელაც ხესილიმ წყალი აუტანა, ბერიკაცმა კი შუბლი შეიჭმუნა:


— წყალი არ მინდოდა, შვილო, ბარის საფხეკი მჭირდებოდა. წადი, ბოძის ყბაში დევს და წამომიღე!

— რაღად მაწვალე, პაპა, წელანვე ვერ დაიძახე, საფხეკი წამომიღე? — უსაყვედურა უკვე ჭკუაში ჩავარდნილმა გოგონამ.

— მე კი არ გავწვალე, შვილო, შენი მშობლები გვაწვალებენ ორივეს. შენ რომ თამარი, ნინო ან ქეთევანი გრქმეოდა, ან დედაჩემის ან ჩემი დისა და ან ჩემი რძლის სახელი, ამდენს არ გატარებდი. ახლა კი ვიღაც გადამთიელი მგონიხარ და ასე მგონია, არ იღლები-მეთქი.

— შვილო ხესილი! — ხშირად ისმოდა ბერიკაცის ძახილი, თუმცა სკლეროზი სულაც არ სჭირდა და ძალიან კარგად ახსოვდა, რომ მის შვილთა შვილიშვილს ხესილი ერქვა და არა — ხესილი. მხოლოდ ხესილია და სოლომონმა იცოდნენ ეს საიდუმლოება.

მერე სხვა შვილიშვილებმა გამოსწორეს თავიანთი დისა თუ ძმის შეცდომა. ყველამ თავისი ღირსეული წინაპარი გაიხსენა და მათგან შეურჩიეს შვილებს სახელი. და დღეს რომ სასწაული მოხდეს და იმ კაცმა გაიაროს ჩვენს უბანში, ვისაც ასი წლის წინათ გაუვლია, იფიქრებს, არავე მომკვდარა და არც არავე დაბერებული. ისევ ცოცხლები არიან ყველანი: დავითიცა და ნიკოლოზიც, სულხანიცა და სოლომონიც, ლექსოც და ქიტესაც, ნინოც და თამარიც, ნატაც და ქეთევანიც... ღმერთმა ისე გაამრავლოს, რომ ჩვენებური სახელები შემოლოდეთ და უცხოურებზე მაშინდა გადასულიყვნენ!



ოლია საბაშვილი

## ამაგდარი

მშვილად მიუყვება მალაღი, ხანში შესული ქალი სკამქალების ორ რიგს, ეღიმება პატარების სიცილ-კისკისზე, შეძახილებზე. თითქოს ვიღაცას დაეძებდეს, ყურადღებით ადევნებს თვალს ხალხს, ცდილობს არავინ გამორჩეს...

რატომღაც მისი დაკვირვებული მზერა ერთზე შენერდა, ახალგაზრდა რაღაცას სატყუდა სკამზე ჩამომჯდარი. ქალი შეუმჩნეველად მიუხალვოდა. ფურცელზე შრილებდ-

ნენ გამარჯვების პარკის ალვები. ქალმა ვეღარ მოითმინა და უცნობს გულისთქმა გაანდო:

«ცამეტი ვერხვი და ცამეტი წარწერა, ცამეტი გმირული სიკვდილის ამბავი, ცამეტი ოჯახის სეუდად და ნაღველად ცამეტი ვაკაცის უბიწო საფლავი...»

— ვერ წარმოიდგენო როგორ გამახარა თქვენმა ფანქარმა, — ხინუქ ქალმა დაარ-

ღვია. ამ გოლიათ ცამეტ ვერხვს ცამეტი შინ-მოუსვლელი ჯარისკაცის სული უდგას. უკვე შეათე წელიწადია ისინი სუნთქავენ შინ-მოუსვლელთა გულებით, სუნთქავენ ზამთარ-ზაფხულს და შეხარიან ცისფერ ზეცას. პირველად მათ 1975 წელს გაახილეს თვალი, მოვლა-პატრონობის შემდეგ წამოიზარდნენ და ახლა შანმოუსვლელთა სახელით საქართველოს უღიმიან. 13 ვაჟაკი... 13 საბჭოთა კავშირის გმირი: შოთა გამცემლიძე, გიორგი ბახტაძე, გიორგი ბილანიშვილი, სერგო გრიგორიანი, ვლადიმერ კანკავა, ვანტანგ ლეჟავა, კარლო მებადიშვილი, დავით მერკვილაძე, სერგო ოვანოვი, აკაკი ტერელაძე, ოთარ ჩეჩელაშვილი, ვანტანგ ჩიქოვანი, კონსტანტინე ლესელიძე. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად დავრგეთ ალვები პარტიის ვეტერანმა ქალებმა გამარჯვების პარკში. ყოველ 9 მაისს აქ ვიკრიბებით ვეტერანი ქალები. პიონერები, გმირთა ახლობლები. აქ წაიკითხა საკუთარი ლექსი მეშვიდე კლასელმა გოგონამ. წელან სწორედ ეს ლექსი გაეიხსენე. შემდეგ ქალმა პარკში მოსეირნე გოგონებს განუდა, გაიღიმა და უცნობს მიმართა:

— იცით, ჩემო უმცროსო მეგობარო, ანლაც მასხოვს როგორ შეუშინდი, 18 წლისამ გურიის სოფელ ლიხაურში რომ სკოლის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. ჩვენს წერილშვილიან უღედო ოჯახს უნდა დავხმარებოდით. პირველი გაკვეთილი მეხუთე კლასში ჩავატარე. სკოლის დირექტორმა ჩემი თავი ბავშვებს გააცნო და კლასი დატოვა. გარინდებული ვიდექი. მოულოდნელად ვიღაცამ წამოიძახა: „ბიჭოს!“ სიტყვა ელდასავით მეცა. გული დამწყდა. სამაგიეროდ იმ წამოძახილმა ძალა და გამბედაობა შემატა.

— მე ვიცი, ვინ იყო, მაგრამ არ ვიტყვი. სჯობს თვითონ წამოდგეს და ბოდიში მოიხადოს! — წარმოთქვა მასწავლებელმა.

ყველამ ბოლო მერხს მიიპყრო მზერა, თმაგაბურქნული ბიჭი მძიმედ, თავჩაღუნული წამოდგა...

ეს იყო ოლია საბაშვილის პირველი ნაბიჯი, მორცხვი, მაგრამ გაბედული. ამ გაბედულობით ჩამოაყალიბა ახალგაზრდა პედაგოგმა 1924 წელს ლაშის უბანში (ქ. მახარაძე) ქალთა სადელეგატო კრება, რომელშიც 17 ენთუზიასტი ქალი გაერთიანდა. ეს კრებები ყველგან ეწყობოდა — სოფლებში, საწარმოებში, ქარხნებში. ეს იყო მშრომელ ქალთა შორის მუშაობის ფორმა, თავისი პროგრამიანი კურსებით. კრების წევრები ეცნობოდნენ საზოგადოებრივ საკითხებს, იღებდნენ პოლიტიკურ განათლებას. იმავე წლებში ოლია საბაშვილს პიონერსელმძღვანელობა დაავალეს. 1924-1926 წლებში ოლია საბაშვილი ქალაქ მახარაძის № 1 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელია, ხოლო შემდეგ განათლების კავშირის სამაზრო კომიტეტის სამდივნოს და სამაზრო პროფბუროს წევრი.

ოჯახის მრავალი პრობლემის გადაჭრის წინაშეა. რთა ქალთა შრომისა და ყოფის მხარეში პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს ვათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

მ. ს. გორბაჩოვი

— მრავალი მეგობარი მყავდა, მაგრამ თავს მაინც მართოდ ვგრძნობდი. სამი შვილიდან ორი ავადმყოფობის გამო საშუალოდ დავკარგე. მუდღეუც ადრე გამოუთხოვა სიცოცხლეს. ყველა თანამიგრძობდა. ვერ ავიწერ. შვილო, როგორ მირთულდებოდა ცხოვრება. მაგრამ გულს არ ვიტყვდი. ჩემთვის საკმარისი იყო დარდიანი თვალები, რომ დანაგრულისათვის დამხმარე ხელი გამეწოდებინა, — მიმართა ქალმა ახალგაზრდას.

1926 წელს ოლიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები.

დღეები შეუმჩველად სცვლიდა ერთმეორეს. 1963-1964 წლები ოლია საბამეოლის მოღვაწეობის დაუვიწყარი თარიღებია. იმ პერიოდში მან რესპუბლიკის ვეტერან ქალთა საბჭოს შექმნას უწყველმძღვანელობდა. საბჭოში ქალთა განყოფილებების ყოფილი მუშაკები გაერთიანდნენ. ეწყოზოდა საბჭოს წევრებთან პარტიისა და შრომის ვეტერანების, დამსახურებული პედაგოგების ექსკურსია-შეხვედრები. ვეტერან ქალთა რესპუბლიკურმა საბჭომ 15 წელიწადი იმუშავა. 1978 წელს პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო ჩამოყალიბდა. ახლაც, ყოველი განაფხულის 8 მარტს, ისინი ოლია საბამეოლის ხელმძღვანელობით საზეიმოდ იკრიბებიან.

ვინ იცის, რამდენს წარმოუთქვამს მადლიერებით განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის, საეცხოვრებელი მიკრორაიონის ამხანაგური სასაპართლოს თავმჯდომარის ოლია საბამეოლის სახელი; რამდენს უსურვებია მისთვის ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ვინ მოთვლის. მისი ცხოვრების ყოველი დღე დატვირთულია საზოგადოებრივი ინტერესებით.

მეაღი, ხანში შესული ქალი წამოფდა, ახალგაზრდას მდუმარედ გადასცა, მსარზე ხელი დაადო, თბილად გაუღიმა და იქაურობა დატოვა. მას არც სახელი უკითხავს მსატერისათვის, არც გვარი. მთავარი ის იყო, რომ ის გამარჯვების პარკს ხატავდა.

80 წლის, მრავალჭირვარამგამოვლილი ქალი კვლავ ახალგაზრდული გატაცებით ვმსახურება შრომითი ცხოვრების პირველი ნაბიჯებიდან არჩეულ საქმეს — ჩვენი მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდას, ქალთა უფლებების დაცვას და მათი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

ვერსკები საამოდ შრიადლებდა. საღამოს ჩრდილები ზოლებად გაწოლილიყო. ახალგაზრდა უცქერდა ნათურების შუქზე დახატულ ვერსკებს და ვერ გაეგო, იმ დღევანდელი შეხვედრა ცხადი იყო თუ ახდენილი სიზმარი.

ქალთა გაშვლილი

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი.

ბთიბსან კი ღაპირავ... თუ გული გულგს

ეს ხათაური იმ კეთილგონიერი ქალის ბა-რათიდან არის მოხმობილი, რედაქციაში თავ-მოყრილი წერილებს „ლამბირინთიდან“ გამოსაყალი რამ გვაპოვინა.

უამრავი საჩივარი, კითხვა, წინადადება, გულისტკივილი, სასოწარკვეთა.

მიზეზი? — ისმინეთ!

...სამსახურს ვერ მივატოვებ, იქ ჩემი „პირველი“ ოჯახია. ვათხოვებამდე რვა წელი ვმუშაობდი, (ქიმიკოსი ვარ), დედათილი მწარედ მსაყვედურობს — შენ რა გასათხოვარი იყავი, ოჯახს შენი ლაბორატორია გირჩენიაო. მე შეილები დავზარდე და შენს შეილებს შენ უპატრონეო... ბ. ლ.

...პირველი შვილი თვინიერი იყო. ბაღში მუდამ ხალისით მიდიოდა, სამსახურში მშვიდდ ვიყავი და ოჯახშიც ყველაფერს ვასწრებდი. მეორე შვილი ჭირვეულია, ბაღში არ ჩერდება, ტირის. მეუღლე მაიძულებს სამსახურს თავი დავანებო... მ. მ.

...აქამდე დღის იმედი მქონდა. ახლა დედა შეუძლოდა. ბავშვის ბაგაში წაყვანა-წამოყვანა გვიჭირს. მე ვერ ვასწრებ, მეუღლეს ეთაკილება. არ ვიცი როგორ მოვიტყვე-სამსახური ჩემთვის მატერიალურად და სულიერადაც აუცილებელია... ლ. ბ.

...ვარ ტყულების დედა. გოგონები უკვე სკოლაში დადიან. ძალიან მიძნელებოდა, მაგრამ სამსახური შევინარჩუნე. ჩემი მეუღლე ვატიშვილებზე ოცნებობს. მეც მინდა ვაფი, მაგრამ, თავს ვიკავებ, რადგან ოჯახის სიმძიმე ჩემს მხრებზე გადადის. ნ. ძ.

...ჩვენ ექიმები ვართ. ერთნაირად ვშრომობთ და ერთნაირად ვიღლებით სამსახურში. გვყავს ორი ვაფი. სუთი წლის შემდეგ აღმოაჩინა ჩემმა მეუღლემ, რომ ცუდი დიასახლისი ვარ — ყველაფერს მიწუნებს, მიზეზობს, კატეგორიულად მოითხოვს სამსახურს თავი დავანებო. თ. თ.

...იქონიეთ მსედველობაში ყველა ფეხბურთი თუ კალათბურთი და კიდევ: „დღეს ბიჭები ვიკრიბებით“, „თანამშრომლის დღეობა“, „მეგობრის დის ქორწილი“ და რომელი ერთი... ასეა ყოველდღე. სახლში რომ ბრუნდება, ბავშვებს თითქმის მუდამ სძინავთ. მე მისი ერთგული მოსამსახურის როლი მგონია თავი და... ძალიან მიჭირს. სამსახურში ვასვლის ნებას არ მაძლევს. (ქიმიკოს-ლამბორანტი ვარ). ვფიქრობ განქორწინებაზე, რადგან მე მაინც მარტო ვარ შეილებთან. თ. ბ.

წერილებს რომ ვეცნობოდით, ერთი ჩვენი კოლეგა მოგვაგონდა, რომლის კარგ ქალობაზე რედაქციიდან რედაქციაში ჰყვებოდნენ. დავრეკეთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ სოც. ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციამი, სადაც იგი უფროსი რედა-

ქტორის თანამდებობაზე მუშაობს და გამომცემლობის პარტორგანიზაციის მდივანია.

რაიკომშიაო. გვითხრეს.

ერთი საათის შემდეგ თავად გამოგვეხმურა. ქალბატონ ციცივეს გავცხადებთ და ვთხოვეთ წერილობით მოეთხრო ჩვენთვის, თუ როგორ უთავსებს ერთმანეთს სამსახურსა და ოჯახს, რომელიც... თავად მოვუსმინათ.

— სამი შვილის დედობა ვითავე. ჩემს გადაწყვეტილებას წინააღედგნენ ჩემიანები. იმიტომ კი არა, რომ ისინი უგულონი იყვნენ. შემიმნადა, სხვისი შვილების აღზრდას ვერ შესძლებო.

— რატომ სხვისი? ობლები არიან, იმაო უკვე ჩემებად ვთვლი... დედის აღერსი უნდათ. მივეფერები, გულს გავუხსნი — მეთქი, ვუთხარი დედას და ცრემლები წამსკდა.

ირწმუნეს ჩემი.

ძამე, — არ შეგვარცხვინო, შენ იცი და შენმა ქალობამო.

დედამ, — დამილოცინებარო და... შევიდგი მხრებზე დიასაც მძიმე, მაგრამ საპატიო უღელი. უფროსი ვაფი ვია — მერვეკლასელი იყო, პაატა — მეექვსეკლასელი, თეა — რომლის ამ ქვეყნად მოსვლას შეეწირა მათი ღამაში დედა — წლინახევრისა.

პატარას გაზრდას, დადუბული დისშვილის სახელზე დეიდა და ბიძა ჩემულობდა. გვებრალებოდნენ მოხუცები, მაგრამ ბავშვებს ერთმანეთს ხომ ვერ დავავიცილებდით. თანდათან ყველაფერი მოგვარდა, როგორც იქნა „დავისაკუთრეთ“ თეა. ჩვენი კუდრაჭა პირველ კლასშია.

უფროსმა ვაჟმა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და კონსერვატორიის მოსამზადებელ ჯგუფშია. ახლა პაატა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, საიდანაც მის შესახებ მაღლობის წერილი მივიღეთ. დაბრუნდება და სწავლას განაგრძობს. იგი სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტი.

სიტყვა გამიგრძელდა.

სამსახური და ოჯახი? — აბა, როგორ გითხრათ, დილით სამსახურში მიმხარია, დღის ბოლოს ოჯახში. სიმწელები არის ხოლმე, მაგრამ სიხარული უფრო მეტია, რადგან მხარში მიდგას ჩემი კარგი ქმარ-შვილი. ხალისი მაქვს, გული მერჩის და...

მთებსაც კი დავტრავ... თუ გული გულგობს.

ციცივერი შველიმ-წიწვიმამ

ძვირფასო ქალებო! მოგვეწერეთ, თქვენ როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახსა და სამსახურს. ველით თქვენს გამოხმაურებას.

სადისკუსიო კლუბს უძღვება კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილება.



# ლეონა ნაკაშიძე

სულ ცოტა ხნის წინათ თბილისის მხატვრის სახლი მასპინძლობდა მხატვარ ლეონა ნაკაშიძის პერსონალურ გამოფენას. ეს მისი მეორე პერსონალური გამოფენაა. პირველი 1975 წელს მოეწყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში.

ლეონა ნაკაშიძე მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც შემოქმედებითს ასპირეზე 60-იან წლებში გამოვიდა. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მაშინვე აქტიურად ჩაება რესპუბლიკის შემოქმედებითს ცხოვრებაში. მონაწილეობს რესპუბლიკურ, საქავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში. ყველა მის ნამუშევარში, დეკორატიული ღარნაკი იქნება, ჯამ-ჭურჭელი, დოქება, საბალო-საპარკო კერამიკული ნაკეთობები, პატარა პანოები თუ გრაფიკული კომპოზიციები (აკვარელით, ტუშით ან გუაშით შესრულებული), ის ლირიკული აზროვნების პოეტურ მხატვრად რჩება. ტექნიკითა და უნარებით განსხვავებული მისი ნამუშევრები მხატვრის მკვეთრ ინდივიდუალურ შემოქმედებითს ბუნებას გვიჩვენებს. ეს ნამუშევრები ცხადყოფს ავტორის დიდ სიყვარულს და გარემო სამყაროს წვდომის უნარს.

ჯამ-ჭურჭელით დაწყებული, კერამიკული ქანდაკებებით დამთავრებული, ლ. ნაკაშიძის ნამუშევრები გამორჩევა ნატოვი გემოვნებით, გადაწყვეტის სითამაშით, კერამიკის შესაძლებლობათა დაუღალავი ძიებითა და ფერწერისა თუ კომპოზიციის მიმართ შეუნდობელი ინტერესით.

ლ. ნაკაშიძე დიდ ყურადღებას აქცევს ფორმას, ფერს, რაც პირობაა იმისა, რომ მხატვარი მთლიან სახეს ქმნის, ზოგიერთ შემთხვევაში ეყრდნობა ეროვნულ ტრადიციებს.

ეს შეიძლება ითქვას დეკორატიულ ქანდაკებებზე („მწყემსი“, „დოქი და ფილა“), აგრეთვე პატარა ზომის დეკორატიულ პანოებზე. ამ ნამუშევრებში ჩვენ ვხედავთ მხატვარ-ობტიმისტს, იუმორის განსაკუთრებული გრძნობით დაჯილდოებულ მხატვარს. მომხიბლავია ძერწვის თამაში მანერა, საინტერესოდ მოძებნილი კომპოზიცია, გემოვნებით გადაწყვეტილი კოლორიტი. ამ პატარა პანოებში („მუსიკოსები“, „ძველი თბილისი“, „ბებიანა და შვილიშვილი“ და მრავალი სხვა), თანამედროვე უღრადლობასთან ერთად, ძველი ქართული რელიეფების ტრადიციაც შეინიშნება.

ის ნამუშევარი კი, რომელსაც „ცილინდრი“ ეწოდება, წარკად უნდა მოვიჩინოთ გამოყენებითი ხელოვნების წინაშე. საერთოდ, კერამიკაში უსაზღვრო პლასტიკურ გამოხატვათა საშუალებები, უსასრულო კერამიკულ ხელოვნებაში დაფარული საიდუმლო. სასიამოვნოა, რომ ლ. ნაკაშიძე თანდათან უფრო ეუფლება ამ მასალის უმიდირეს შესაძლებლობებს. ისევ და ისევ გარდაისახება ხაზის, ფერისა და პლასტიკის მარადი სიღრმეზე კერამიკულ ნაკეთობათა თანამედროვე ფორმებად. შემოქმედის მხატვრული პოზიცია, მისი შემოქმედების ინდივიდუალობა უცვლელი რჩება. გამომსახველობა ხაზისა, გადმოცემული მახვილი თვალის, ერთხელ კიდევ მეტყველებს მათს არასტანდარტულობას და თავისებურებას. ეს კი, თავის მხრივ, დამაჩერებელ სახეობად ყალიბდება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ჭარისკაცის პორტრეტი“ — მრგვალი, დეკორატიული ქანდაკება, რომელიც მანახველს კეთილ ღიმილსა და აღტაცებას ჰგვრის. სადა და მოხდენილად ნაძერწი ჭარისკაცის სტილიზებული ფიგურა, იუმორით დანახული პლასტიკა ესთეტიკურ ტკბობას გვანიჭებს.

გამოფენაზე კერამიკის გვერდით დიდი ადგილი უჭირავს გრაფიკას. აკვარელით, ტუშით და გუაშით შესრულებული პატარა ზომის პეიზაჟები თვალნათლივ წარმოაჩენს ავტორის სრულ სახეს, პოეტური და ღრმა ემოციური გაცდების აღმიანს.

„იოსა სახლი“, „თოვლშუბი“, „ჩვენი ეზო კალანდაძის ქუჩაზე“, „ასათიანების სახლი“ — ასე ასათაურებს ლეონა ნაკაშიძე თავის პეიზაჟებს.

მხატვარი რაღაც განსაკუთრებული სიბოთი ირჩევს ადგილებს და ასევე განსაკუთრებით ქმნის დამახასიათებელ გარემოცვას სურათებში, მხატვრის მიერ დახატული შიდა ეზო იქნება, რიყულებიანი აივნები (ზედ გადაფენილი სარეცხით) თუ ბიჭი რკინის ალაყათთან („სახლი ჩახრუხაძის ქუჩაზე“), ანდა მთელი რაიონის ხედი („ზამთარი“, „შუშანას ეზო“), თბილისი თუ მესტია („მესტია“, „ეზო“), ყაზბეგი („ყაზბეგი“, „წითელხალათიანი ბიჭი“), თუ პრაღა („კარლოვის ხიდი“, „შიდა ეზო“). მისი ნამუშევრები კონკრეტულია და გულწრფელი კომპოზიციებისა და პეიზაჟებში მხატვარი აღწევს მყუდროების ისეთ გაცდას და ინტიმურ განწყობილებას, რაც თავის გრაფიკულ ნამუშევრებს საოცარ დამაჩერებლობასა და მომხიბლავობას ანიჭებს. ლეონა ხშირად უბრუნდება სიყვარულით მოძებნილ მოტივებს. თუმცა ძველ მოტივს სრულიად ახალი უღრადობა ენიჭება უკვე ახალი კუთხით დანახულ ნამუშევარში.


ლეონა ნაკაშიძე სრულიად უბრალო, ჩვეულებრივ ეპიზოდებში პოულობს ჭეშმარიტად ღრმა შინაარსს, რაც გულგრილად ვერ დატოვებს ვერცერთ მნახველს.



1




2




3

4







5

6


- შუშანას ეკო
- კრალა
- კერამიკული ჰურბელი
- მეთოპე
- სასლი ჩახრუხამის ქუჩაზე
- მცხვარე
- მხედარი
- ჰურბელი ლურჯ სფერაზე




7



8





1

- მუსიკოსები
- ცილინდრი (თიხა)
- ზრინჯაოს მედალი — „ანანური“
- ზრინჯაოს მედალი — „აბანის სიონი“
- კერამიკული ჰურხული



2


5



3



4



# ნეკროზული აულილოზიანი მცირე ასაკის ბავშვებში



ავრცელებული აზრი, რომ 3-4 წლამდე ასაკის ბავშვებს არ უვითარდებათ ნეკროზული მდგომარეობანი, არასწორია.

1-წლამდე ასაკშია ც-კო და მით უმეტეს, 1-3 წლის ასაკში არც ისე იშვიათია ნეკროზული გამოვლინებანი. იგი გვხვდება შემდეგი სახით.

მომავალი მკვლევარები სხვადასხვა სახის გამლინიანი მდგომარეობის მიმართ (დიდი სინათლე, ხმაური, ხმამაღლა ლაპარაკი, სხეულის მდებარეობის შეცვლა, ტიტველ კანზე შეხება და სხვ.). ასეთ შემთხვევაში, ბავშვები გამოიწვევებიან პასუხობენ მოძრაობითი მოუხვედრობით, ხშირი და მკვეთრი შეკრთვებით, 1 წლის ასაკიდან კი — გამოხატული მდრთხალობით, შიშის რეაქციით. ასეთი გზით თანდათანობით უაღიბდება ჭერ ნეკროზის წინა მდგომარეობა (რადიკალი), ხოლო შემდეგ — შიშის ნეკროზი.

აღმავალი-რემისირებული შეტევები („ჩაბთობა“, „გადაფიქსირება“, „ჩაბთება“), ისინი აღმოცენდება ბავშვის ტირილის დროს. ამ ბავშვებს ახასიათებთ ტურბების და სახის სილურჭე, კიდურების დაჭიმვა, ზოგჯერ მთელი სხეულის კრუნჩხვის მოვლენები და არც ისე იშვიათად — გონების წაბიერი დაკარგვა. შეტევების ხშირი გამეორება მათში ქმნის კრუნჩხვებისადმი მზარბას (წინაწარგანწყობას), და გარკვეულ პირებში შეიძლება უწყობს ეპილეფსიისმგვარ გულყრების აღმოცენებას.

შედარებით დიდ ბავშვებში აფექტურ-რესპირატორულ შეტევებს ხშირად საფუძვლად უდევს დაუოკებელი სწრაფვა და ცდა, მათი სურვილის დაკმაყოფილებისა. აღნიშნული შეტევებით შემდგომში უაღიბდება მყარი ისტერიული რეაქციები, ისტერიული ნეკროზი და შესაძლოა ისტერიული გულყრებიც.

სხვადასხვა სახის შიშები ხშირია 2 წლამდე ასაკის ბავშვებში თავდაცვის ინსტიქტის გამახვილების გამო. გადაჭარბებული შიში ახალი სათამაშოებისა და უცხო აღმავანების მიმართ და დამაბულბობის გაძლიერება გარემოს უმნიშვნელო შეცვლის დროს. 2-3 წლის ასაკის ბავშვების შიშებს უპირატესად

ზედირებულოვანი ხასიათი აქვთ. ესენია სინხელის, მარტო დარჩენის, წაქცევის, თავის დაბანის, ცხოველებისადმი და სხვა შიშები. ისინი ზოგჯერ წლების განმავლობაში აწუხებს ბავშვებს. ასეთ შემთხვევაში მყარ შიშებს ემატება პიროვნების ანომალური განვითარების ნიშნები და ქცევის თავისებური მოშლა. აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს მომავალში შეიძლება აღმოუცენდეთ აკვიატებულ მდგომარეობათა ნეკროზი. დროული მკურნალობა სრულიად ხსნის აღნიშნულ აშლილობებს და პიროვნების შესაძლო პათოლოგიის განვითარებას.

ძილის დარღვევა 1-3 წლის ასაკის ბავშვების ნერვული სისტემის აშლის ერთ-ერთი ხშირი გამოვლინებაა, რაც გამოხატება დაძინების გაძნელებაში, ფხიწელ ძილში, ხშირ გამოღვიძებაში, ძილის დროს ტირილში, უმიწეზო გამოღვიძებასა და გაურკვეველ შიშის განცდაში.

ღრმა და მშვიდ ძილს, მის ნორმალურ ხანგრძლივობას უდიდესი დაცვით და აღდგენითი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ძილის დარღვევის უოველი სახე უარყოფით დაღს ასვამს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას და მნიშვნელოვნად აგვიანებს ფსიქიკური ფუნქციების მოწიფებას. დადგენილია, რომ ძილის დარღვევა ხშირად უდიდეს საფუძვლად ნეკროზულ აშლილობათა და კერძოდ — ნეკროსტენიის აღმოცენებას. ნეკროსტენიული გამოვლინებანი აღვილაღ ექვემდებარება მკურნალობას.

უნიმალნი მმძარბებნი (მიბერკინეზები, ტიკები): მცირე ასაკში ხშირად ვხვდებით თავლების გახშირებულ ხამხამს, თავის ან მხრების უნებურ ცახცახს ან მოძრაობას, ტურბების რითმულ გადმობრუნებას, სახის მანქვას. უნებლიე მოძრაობებს საფუძვლად შეიძლება ედოს როგორც ნერვული სისტემის ორგანული დაავადება (ან მისი ნარჩენი), ისე ფსიქოგენური ფაქტორები, უარყოფითი განცდები (შეშინება, დასჯა და სხვ.). სწორედ უკანასკნელ შემთხვევაში ვითარდება ნეკროზული ტიკები. დროული, კომპლექსური მკურნალობა ხელს უშლის ყოველგვარ გართულებას.

მეტყველების მოშლა ენაბორძიკობის სახით ხშირად იწყება 2-3 წლის ასაკში. ენაბორძიკობის განხგრძლივება იწყებს არა-

მარტო ბავშვის მეტყველების განვითარების შეკავებასა და ზოგჯერ მის უკუგანვითარებას, არამედ ასევე ბავშვის ფსიქიკური განვითარების გარკვეულ შეფერხებას. თუ დროულად არ ვუმკურნალებთ ენაბორძიკს, მომავალში მან შეიძლება გამოამდგენოს ავადმყოფური, პიროვნული თავისებურებანი, ზედმეტად გულჩათხრობილობის, გაძლიერებული მორცხვობის, იჭენეულობის, გაუბედაობის ან მკვეთრი გამლიზიანებლობის, აფექტურობის, გაბორბების და სხვა ნიშნები.

მცირე ასაკის ბავშვებში არც ისე იშვიათია მეტყველების მოშლის თავისებური ფორმა ე. წ. ამორჩევითი მუტიზმის სახით. ასეთ დროს ბავშვი ამორჩევითად ელაპარაკება გარკვეულ პირს ან ლაპარაკობს გარკვეულ სიტუაციაში, სხვა დროს კი სრულიად დამუნჯებულია.

დღეს, ფსიქონევროლოგები და ლოგოპედები კარგი თერაპიული შედეგებით მკურნალობენ მეტყველების დეფექტის უაღიბ სახეს.

სექსუალური სფეროს აშლილობანი დადგენილია ადრეულ ასაკის ბავშვებში. ერთ-ერთ მეტყველებს ბავშვი ღებულბობს თავისი სხეულის სხვადასხვა ნაწილებიდან (სასქესო ორგანოები, შარდხაღინარი, კანი, კუნთები და სხვ.) 2-3 წლის ბიჭები ხშირად ისეთ მამებიტულ ინტერესს ავლენენ საწინააღმდეგო სქესის მიმართ, რომ ერღვევათ ქცევა; ხეტარ მათგანი ურადღებას იპყრობს თანატოლი ვოგონების და ქალების მიმართაც კი გადაჭარბებული აფერხიანობით, ტიტველი სხეულის დაწახვის მუღმეფე ცდით და სხვ. დროული ყურადღების მიქცევით, სათანადო პედაგოგიურ-კორექციული ღონისძიებების ჩატარებით ბავშვი სრულიად თავისუფლდებდა პათოლოგიური მოვლენებისაგან.

კუჭ-ნაწილდვის ტრაქტის აშლილობისას მამამდე ფიზიკურად ჯანმრთელი მცირეწლოვან ბავშვებს (2-3 წლის ასაკში) შეიძლება განუვითარდეთ მყარი უმადობა, პირისღებინება, საკვების მსოლოდ ამორჩევითი მიღება, შიში ახალი საჭმელების მიმართ, ღმუჯისა და ყლაპვის დარღვევა, კუჭში უნებური განხვლა. აღნიშნულ აშლილობათა მკურნალობა ძირითადად ექვემდებარება ბავშვის

პირობების შეცვლას, სიმშვიდეს და საერთოდ გარემოს მოწესრიგებას და ფსიქოთერაპიულ გარემოცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ისტერიული (ფიქსაციური) ან იპოქონდრიული ნევროზი.

წარბების და თმების დაგლეჯვა. არაიმვიათად 2-3-4 წლის ბავშვებში უსიამოვნო განცდებთან დაკავშირებით გვხვდება მყარი და მუდმივი ცლა თმებისა და წარბების ამოგლეჯისა. მოგლეჯილ თმას ყოველგვარი ზიზზის გარეშე ხშირად პირისკენ მიაქანებენ. თუ დროზე არ ჩატარდა მკურნალობა, მომავალში შეიძლება ბავშვმა (მოზარდმა) გამოავლინოს მიზიდულობათა პათოლოგიის სხვა ფორმები.

ფსიქოპათიისმაგვარი ქცევის ნიშნები.

მცირე ასაკის ბავშვებში ნევროზული მდგომარეობა შეიძლება გამოვლინდეს ქცევის მოშლით: გამაღწიანებლობა, მომატებული ნერვული აღზნებადობა, მოძრაობითი მოუსვენრობა, მუდმივი უხასიათობა, ხანგრძლივი ტირილი, დროული მკურნალობის შედეგად სრულიად შესაძლებელია პიროვნების ფსიქოპათიური განვითარების აცილება.

მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვებში ნევროზული აშლილობანი ხშირად შენელებულად და არატიპურად ვლინდება. მათი დაგვიანებული გამოვლენა ხელს უწყობს აშლილობათა სახეცვლილებას და გართულებას. ასეთ პირობებში ქვეითდება ბავშვის პიროვნული და გონებრივი შესაძლებლობები, ხელი ეშლება გარემოს მიმართ

მის შემგუებლობას და საერთოდ მომავალში გარკვეულად ეზღუდება შრომითი და სოციალური პერსპექტივა.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი არაერთხელ მიუთითებს, რომ ნევროზულ მდგომარეობათა დროულ დადგენას და მკურნალობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ანომალური განვითარების ზოგიერთი ფორმისა და სხვა ფსიქონერვულ გადახრათა პროფილაქტიკაში.

მირიან გესტიაშვილი,  
ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების გამგე, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი, პროფესორი.

სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

# ლეილა ჩვენთვის „ღღას“ ნიშნებს

თბილისელებს უყვართ ჩოგბურთი. რა დროსაც არ უნდა მიხვიდეთ სანაპიროზე, სადაც „დინამოს“ კორტებია, უამრავ გულშემატკივარს შეხვდებით. დედები მოთმინებით ელოდებიან ბავშვებს, რომლებიც მწვრთნელებს თვალბეჭდში მისჩერებიან და არ უნდათ მათი არცერთი სიტყვის დაკარგვა. საკმაოდ ხანდაზმული ადამიანები იღებენ ხელში ჩოგანს, შესაფერის მეთოქეებს ირჩევენ, თამაშობენ, მოძრაობენ, განიცდიან, ბჭობენ...

კაცმა რომ თქვას, აქ ახალი მაინცდამაინც არაფერია. რაც მე მახსოვს, ყოველთვის ასე იყო. ომისშემდგომ წლებში ამავე კორტებზე უდიდეს ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელების ედუარდ ნეგრებეცკისა (ლენინგრადი) და ნიკოლოზ ოზეროვის (მოსკოვი) პრინციპული, ძმადრი, შეუპოვარი შეხვედრები. დიახ, დიახ, სწორედ იმ ოზეროვისა, თითქმის ყოველდღიურად ტელეეკრანებზე რომ ვხვდავთ. თბილისელები მაინც უფრო ნეგრებეცკის მხარეზე იყვნენ, რომელიც თბილისში დაიბადა და გაიზარდა.

მერე ის იყო, რომ თბილისელებს გამოუჩნდათ თავისი „კერპი“. ალექსანდრე მეტრეველმა ჩოგბურთის სამყაროში დიდი სახელი მოიხვეჭა. შეიძლება ითქვას, მან ტრიუმფით მოიარა ყველა საჩოგბურთო ქვეყანა: ავსტრალია და იტალია, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. მთავარი მაინც ის იყო, რომ მეტრეველი ჩოგბურთის მექანე წოდებულ უიმბლდონს (ინგლისის ღია პირველობა, ჩოგბურთში ყველაზე უფრო ავტორიტეტული შეჯიბრება) ეწვია და ამ ასპარეზობის ფინალში გავიდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ცნობილი მწერლის გამოთქმა გამახსენდა. ამ, როგორც

ჩანს, მეტად თავდაბლა ადამიანმა ხაკუთარი შემოქმედება ფრიად მოკრძალებულად დაახასიათა. „აბა, მე უიმბლდონში ვინ მიმიწვევსო“. ეს მწერალი, ცხადია, ლიტერატურულ „უიმბლდონს“ გულისხმობდა.

მეტრეველს მხარში ამოუდგა მეორე სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენი თეიმურაზ კაკულია, თეიმურაზი შეიძლება ითქვას, ღღესაც „ხელმარჯველ სცემს ჩოგანსა“ — ახალი თაობის ღირსეული აღმზრდელია.

ერთი სიტყვით, ქართველი ვაუები რომ ჩინებული ჩოგბურთელები იყვნენ, ყველასათვის ცნობილია. ქალები?

ცოტა მოითმინე, მკითხველო! 1985 წელი ამ მხრივ დიდი იმედის მომცემი იყო. ივნისში ახალგაზრდათა პირველი საკავშირო სპორტული თამაშები ჩატარდა. ლენინგრადელი მაყურებელი, რომელსაც ჩოგბურთელებით ვერ გააკვირვებ, დიდი მოწონებით ადევნებდა თვალს 17 წლის ლეილა მესხს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ თეიმურაზ კაკულიას აღზრდილს. ვინ იცის, რამდენი ოფლი დაღვარეს მასწავლებელმა და მოსწავლემ, რამდენი იშრომეს იმისათვის, რომ ლეილა ასეთი სპორტული გამომდრეყო. თამაში თამაშს მისდევდა, ლეილა კი ყველა მეტოქეს ამარცხებდა. ბოლოს ყველაფერი დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა — ლეილა მესხმა ამ შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მიაპოვა. ფინალურ მატჩში მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მოსკოველ ვიქტორია მილედსკაიას სძლია.

ლეილა არაბულ ენაზე „ღღას“ ნიშნავს. ზვენ ნებას მივცემთ თავს ლეილა მესხს „ღღე“ ვუწოდოთ, ქართული სპორტის დღევანდელი დღე. ამის საფუძველს მატარ

ლენინგრადის ასპარეზობა როდი გვაძლევს. შარშან მესხმა სხვა გამარჯვებებიც იწვიმა. ქალაქ ბლუაში (საფრანგეთი) ევროპაში დიდი პოპულარული შეჯიბრება გაიმართა. კონტინენტის პირველობაზე გოგონათა შორის, ისინი, ვინც ამ ასპარეზობაში გამოდიან, ხშირ შემთხვევაში მაღლა აფრინდებიან ხოლმე, თანდათან ეუფლებიან საჩოგბურთო „უიმბლდონებს“. საქართველოს №1 ჩოგბურთელია ქალმა საფრანგეთის ცნობილი ექსპერტების აღიარება დაიმსახურა. მან ბლუაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს კი დიდად საპატიო, ბრწყინვალე შედეგი იყო.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა ერევანში მოიპოვეს თავი. რითი ხასიათდებოდა ეს შეჯიბრება? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამჯერად ასპარეზობაში ყველა გამოჩენილი ოსტატი ჩაება. ლეილამ კიდევ ერთხელ, წლის განმავლობაში უკვე მესამედ გაიმარჯვინა. ძნელია სხვა სიტყვა იხმარო, როცა 17 წლის ქალიშვილი ევროპის ჩემპიონს ელენე ელისენკოს (დონესკი) უგებს. ამ უძნელეს შეჯიბრებაში საბოლოოდ მესხს ბრინჯაოს მედალი დარჩა. მოკლე ხანში ოქროდ გადაქცეულიყო იგი ერთი სიტყვით, მთელი წლის განმავლობაში ლეილა მესხი ახარებდა გულშემატკივრებს. როცა ამერიკიდან „დინამოს“ კორტები მაყურებლებით გაიჭებდა, ეს, ცხადია ლეილას დამსახურება იქნება.

თბილისელებს უყვართ ჩოგბურთი. ცდილობენ კორტებზე რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ, რადგან აქ სიხარულს განიცდიან. ზვენ ვიცით, რომ მათ მტკიცედ სწამთ ლეილა მესხის დიდი მომავლისა, ჩვენთვის ხომ ლეილა „ღღეს“ ნიშნავს!

გივი გამრეკელი



# სიყვარული სიყვარულის ნიღ

თბილისში ოდიოვანეუ გამოირჩეოდა თავისთავადი ყოფის ამსახველი ოჯახები, რომლებმაც თავიანთი კვალი დაამწიეს ეროვნული კულტურის ჩასახვასა და აღორძინებას. ასეთ ოჯახებში სიამოვნებით იკრიბებოდნენ ხელოვნების მოყვარულნი, იმართებოდა მსატერული კითხვის საღამოები; ვოკალური თუ მუსიკალური ნიჭის გამომრწყინება... საინტერესო ადამიანები ერთმანეთის ცხოვრებას ალაშაზებდნენ. ასეთი საინტერესო ცხოვრება ჩქეფდა ანა აგლაძისა და ლონგინოზ ჩიჯავაძის ტრადიციულ ოჯახშიც. ქალბატონი ანა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველი ვოკალური ჯგუფის კურსდამთავრებული გახლდათ, ლონგინოზს ბელგიის ქალაქ ლიეჟში ჰქონდა ენერგეტიკოსის სპეციალობა მიღებული. ურთიერთ პატივისცემასა და უდიდეს სიყვარულზე აღმოცენებული მათი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო ხელმოკლე, ნიჭიერი ასალგაზრდობისათვისაც.

ეს ოჯახი ზაქარია ფალიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვახტანგ კოტეტიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ დოლიძის, პეტრე ამირანაშვილის, ეკატერინე სოსხაძის, ნადევდა ცომიას და სხვათა ერთერთი საუკეთესო თავშესაფარი ადგილი გახლდათ იმ წლებში. ფინჯან ჩაიზე საღამოებს შემოქმედებით საუბრებში ატარებდნენ. სასიამოვნოდ მოსაუბრე დიასახლისი ანა ჩიჯავაძე ჩვეული ხალისითა და ხელგამლილობით მოელოდა საყვარელ სტუმრებს. ეგერეთოდებულმა ოჯახურმა სალონმა გამოკვეთა ანა ჩიჯავაძის, — ოღუა მულგანის უოფილი მოწაფის ვოკალურ ხელოვნებაში დაფასება და პირველი წარმატებები. ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა და ხანამ ოპერის თეატრში სპექტაკლების დადგმებს განასორციელებდნენ, ფილარმონიის ძალებით გამართულ კონცერტზე ქართველი მათურების წინაშე წარსდგა მაროს („დაისი“), ვთორის („აბესალოდი და ვთერი“), ლატავრას („ლატავრა“) პირველი შემსრულებელი ანა ჩიჯავაძე. მისი მუსიკალური სფეროში მოღვაწეობა მარტო ვოკალური ხელოვნებით როდი შემოიფარგლა, ჩვენნი ფართო საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც საუკეთესო პედაგოგსა და ასალგაზრდობის აღმზრდელს.

ნატივი გემოვნების, უტყუარი აღღოს, ხალასი ნიჭის, ყველა საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული, ასალგაზრდა ნიჭი-

ერი თაობის დიდი ქომავი და მოამაგე, მათი სულისა და გულის თანაზიარი! ეს სიტყვები წერილის ავტორის გამოგონილი როდია, — მისი ნამოწაფრების: ლამარა ჭყონიას, ნოდარ ჯაფარიძის, ირაკლი შუმანიას, ვანო კოკლიას, იმერ კავსაძის, ალექსანდრე კაციშვილის, ანზორ შოშნიას, ეკატერინე მიროტაძისა და სხვათა მოძღვნილი სურათებიდან და ბარათებიდან ამოკრფილი ფრაზებია. „ყველა განურჩევლად ერთნაირად ვუყვარდით, ყველას წინსვლასა და სცენაზე გამომრწყინებაზე ერთნაირად ოცნებობდა. დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავდა თითოეულთან ინდივიდუალურ მუშაობაში, მარტო „შმის დაცვის ჯგუფის საზიოაც“.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა, ავერ, თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც მუსიკოსთა აღზრდის თვალსაჩინო კერაა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში. აქედან იღებს დღესაც ღირსეულ შევსებას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ცენტრალური მუსიკალური სკოლის აღზრდილებმა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ეროვნულ სამემსრულებლო კულტურას. მათ შორის არიან საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატები: მარინე იაშვილი, ელისო ვირსალაძე, მარინე გოგლიძე-მდივანი, დიმიტრი ბაშკიროვი, მარგარიტა ჩხუციძე, სულხან ცინცაძე, ლეო ვლასენკო, ალექსი ლაზო, თენგიზ ამირჯიბი, ზურაბ ანჯაფარიძე, მედა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია, ცილა კვერნაძე, ლიანა ისაკაძე, თამარ გაბარაშვილი და მრავალი სხვა.




დიდია ამ სკოლის როლი და ღვაწლი. რესპუბლიკის თითქმის ყველა მუსიკალური დაწესებულება, საოპერო თეატრი. სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო კაპელა, ფილარმონია, ტრიო, კვარტეტი მებრწყლილად ამ სკოლის აღზრდილებით არის დაკომპლექტებული. სასწავლებელი 1934 წელს გაიხსნა კონსერვატორიასთან არსებულ „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის“ ბაზაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა კონსერვატორიების მსგავსად (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ბაქო) თბილისშიაც მოქმედებდა. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწასა და დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულეს მამინდელმა პროფესორ-მასწავლებლებმა: ი. აისბერგმა, ა. ფლავამ, გ. თაქთაქიშვილმა,

რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა, სასწავლო ნაწილის გამგემ, დიდი პედაგოგიური აღღოთი და ვოკალური გემოვნებით დაჯილდოებულმა ანა აგლაძე-ჩიჯავაძემ, რომელიც 30-იანი წლებიდან მოყოლებული ჯერ მუსიკალურ მუშაგეში მოღვაწეობდა, შემდეგ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და პარალელურად რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური დისციპლინის კათედრაზე კითხულობდა ლექციებს.

ბრწყინვალე ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილმა ანა ჩიჯავაძემ — (რომლის მამა ჩინებული მთარგმნელი იყო; ძმა — დავით აგლაძე, პირველი ქართველი გენეტიკოსი, ქ. პალეოი 28 წლის ასაკში რომ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და წლებში მანძილზე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრას ხელმძღვანელობდა; მეორე ძმას პარიზში ჰქონდა მიღებული ტექნოლოგის სპეციალობა, სოლო მისი ძმისწული გოგოთურ აგლაძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევროკორესპონდენტი თბილისის ზოოგეტერინარული ინსტიტუტის რექტორია), საინტერესო ცხოვრების გზა განვლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლიდან, კონსერვატორიის დოცენტის თანამდებობამდე. იგი უშურველად უზიარებდა გამოცდილებით შეძენილ ცოდნას მოსწავლეებს, სტუდენტებს, კოლეგებს და სიყვარული სიყვარულის წილ უსვავაძე ერგო, ვიდრე 1971 წელს არ შეწყდა მისი მჯიხისცემა. მან შთამომავლობად მამულს დაუტოვა სამი ღირსეული ვაჟიშვილი და მრავალრიცხოვანი ოჯახის მონაგარი: ეუფროსი ოთარი — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, გივი — ავტონიწინერი, მერაბი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე და შვიდი მშვენიერი ყლორტი — შვილიშვილი. ნოყიერ და მძლავრ ფესვებზე აღმოცენებული ანა ჩიჯავაძის კეთილშობილ საქმეთა დასტურად ლამაზი სიცოცხლე კვლავ გრძელდება შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და მისი მრავალრიცხოვანი ნამოწაფრების სახით.

# ინტერვიუ

## თოვაშვი



მისთვის დაბადების დღე უნდა მიგველოცა.

რედაქციაში ვერ მოვიდა, რადგან მეტად დაკავებული ვაზლდათ.

მჭედლიძე ნანა, ბიძინას ასული: ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დიდა მისი ღვაწლი, დიდა მისი წილი ქართული კინოფილმების წარმოჩინებისათვის, ალალია მისთვის ის პრემიები, თუ პრიზები, რომლითაც ჩვენც, მისი მაცურებელნი და თავვანისმცემლები ვიწონებთ თავს.

პრემია საუკეთესო კომედიისათვის ფრუნზეს IX საკავშირო კინოფესტივალზე (1976 წ.), „გრან პრი“ სპორტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე იბერპაუზენში (გფრ 1977 წ.), მთავარი პრიზი „ოქროს ვერძი“ თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალზე (1975 წ.). ქართული კინოს თავვანისმცემლებისათვის ეს პრემია გატაცებული საწმისის დაბრუნების სიმბოლიკად იქცა თითქოს და მით უფრო სასიხარულოდ რამეთუ, რეჟისორი ქა-



ლია, გონიერი, მშვენიერი, აღსავეს კეთილი ჰუმორით, თავანკარა ხალისითა და სიცოცხლისმოყვარეობით. ნანა მჭედლიძემ სწორედ ეს თვისებები დაანათლა თავის საქვეყნოდ ცნობილ კინოფილმებს: „მოდის მატარებელი“, „დიდებები და შვილიშვილები“, „პირველი მერცხალი“, „იმერული ესკიზები“ და კიდევ სხვანი, რომელთაც კეთილი კვალი დატოვეს ჩვენს მეხსიერებაში. მისი ფილმების დემონსტრირების შემდეგ ხშირად გაიგონებდით: „მამაკაცური ხელით არის შექმნილიო“ (ეს განსაკუთრებით „პირველ მერცხალზე“ ითქმის!) და როდესაც ეკრანის წინ ტანმალალი, დამორცხვებული ქალი გამოჩნდებოდა ხოლმე, ტაში უფრო მატულობდა...



თოვს. თბილისისათვის უჩვეულოდ ბარდნის.

დილაადრიანია, მაგრამ უკვე ბავშვთა ყიჟინას ამოუვსია სათოვლეთი... ის იყო ზარი უნდა ჩამოგვერეკა, რომ არ დაგვცალდა — თვითონ რეჟისორი გამობრძანდა. ზამთრისათვის გამოწყობილი, თვალაციმციმებული. ქოლგა გაშალა და სალამი შემოგვაგება. მერე მოიბოდიშა, სახლში ვერ შეგიაპატიებთ, გადაღებაზე მიმეჩქარებაო... ვიფიქრეთ, ახალ ფილმზე თუ მუშაობსო. არაო, იუარა, რეზო ჩხეიძემ მიმიწვია „დონ კიხოტში“ დონა როდრიგეს როლზეო.

„დონა როდრიგე როგორ არ გახსოვს, ბეჩა?... არადა, რა კინომსახიობი მე მნახეს ნეტავო“, — კვირობდა მთელი გზის მანძილზე.

ესეც თავის მომდებლზე იყო, თორემ ვის არ ახსოვს მისი კლასიკური ბებია „იმერულ ესკიზებში!“..


ასე გზადაგზა მივულოცეთ დაბადების დღე.

შეიძლება თავად არცკი ახსოვდა. მის ბოლო ფილმს „უკვდავების თეორი ვარდი“ ჰქვია. ხალხურ ზღაპარში მხოლოდ „უკვდავების ვარდია“. რეჟისორმა კი ამ ვარდს თეთრი ფერი მისცა. თეორი — სიმბოლო უმანკოებისა, თეორი — სიმბოლო სიმაღლისა, ამაღლებული სიყვარულისა.

ახ, რატომ არ დგას თვე მისისა, ვარდის ფურცლობისა, რომ ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა თეორი ვარდი მივართვათ ჩვენს სახელოვან შემოქმედს — ნანა მჭედლიძეს.

ახლა კი თოვს. „ტფილად და ხვავრიელად“...

დღე, თბილი და კვლავ ხვავრიელი იყოს მისთვის ეს წლებანდელი წელიც!



კალევაი ფილმიდან „იმერული ესკიზები“.

დასახულია განხორციელდეს დიდი ღონისძიებანი თანამედროვე მაღალგანვითარებული მომსახურების სფეროს შესაქმნელად. მომსახურების მოცულობის გადივამ, ასორტიმენტის გაფართოვამ და ხარისხის ამაღლებამ შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის გზარდი მოთხოვნა საბინაო-კომუნალური, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, სოციალურ-კულტურული მომსახურების მრავალფეროვან ფორმებზე, შევამსუბუქოთ საოჯახო შრომა, შევქმნათ დასვენებისა და თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენების საუკეთესო პირობები. დაჩქარებულ განვითარებას პოვებს მომსახურების სფერო სოფლად და ახალთვისებულ რაიონებში.

**საბჭოთა კავშირის ჰომონისტური პარტიის პროგრამიდან.**

# გელით „თელთი“

დ. იაკობაშვილის ფოტოები



● დირექტორი გ. ნაცვალაძე ესაუბრება მწველავ ლ. მაისურაძეს.



● მთავარი ადმინისტრატორი პერი ქავთარაძე მზარეულებთან.

გასცდებით თუ არა სოფელ თელეთს, შორიდანვე მოგტაცებთ თელის ვაზის სეივანში ჩამდგარი საზეიმო სასახლე.

საზოგადოებრივი კვების იმ ობიექტებს შორის, რომლებიც რამდენიმე ხანია ექსპერიმენტის წესით მუშაობენ, ერთ-ერთი საუკეთესოა ცეკავშირის საზეიმო სასახლე „თელთი“.

რას ითვალისწინებს ექსპერიმენტი? უპირველესად, მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, საკუთარი პროდუქციის ხარისხისა და მოცულობის გაზრდას, სასოფლო-სამეურნეო რესურსების უფრო ფართოდ გამოყენებას, დამზარე მურნეობისა და პირადი საკარმიდამო ნაკვეთების განვითარებას, საქონელბრუნვისა და მოგების გეგმების გადიდებას, ხორცისა და რძის პროდუქტებით საკუთარი მოთხოვნილების მთლიანად დამაკმაყოფილებას, ვაჭრობაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას და მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდებას.

ბევრი სიახლეა როგორც სასახლის შრომითი კოლექტივის საქმიანობაში, ისე დამზარე მურნეობებში, რაც უმთავრესად სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ძირფესვიანი გარდაქმნით, წარმოებული პროდუქტის რეალიზაციით და საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდით გამოიხატება. ექსპერიმენტამდე პერიოდთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 126 პროცენტით გაიზარდა და თვიურმა ხელფასმა, საშუალოდ, პრემიული ანაზღაურებით 300 მანეთს გადააჭარბა.

საზეიმო სასახლეში ეწყობა ქორწილები, დაბადების დღეთა ცერემონიალები, მეგობრული და საოჯახო შეხვედრები, რისთვისაც მაღალხარისხიანი და სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქტთა საჭირო. სააშისოდ „თელთს“ აქვს მეძრახეობისა და მეღვინეობის ფერმა, 20 ათასი წიწილის ინკუბატორი და 8 ათასი ფრთის გამოსაზრდელი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასოსივ, ლუდის ბარი, სახინკლე და საშაქარლამო.

სასახლე 1978 წლის 31 დეკემბერს გაიხსნა, იმ დღეს, მაია ჩიბურდანიძის დაბადების დღე იზეიმეს. მას შემდეგ სტუმარი და მრავალჯამიერ“ არ მოკლებია სადღესასწაულო დარბაზს. სასიამოვნოდ სწორედ ის არის, რომ ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ აღმოჩნდა სუფრიდან ნაწყენი და მასპინძლის უკმაყოფილო სტუმრები. პირიქით, შთაბეჭდილებების წიგნი მადლობის ბარათებით არის სავსე. აქ ნახავთ თბილისის დინამოელთა კოლექტიურ ხელმოწერას, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერთა თუ მუშების სამადლოებელ სიტყვებს.

გემოვნებით გაფორმებული ჰოლები თუ დერეფნები, მექორწინეთა სარიტუალო დარბაზი, სადღესასწაულო დარბაზი, ოთახები ნეფე-დედოფლისთვის, გამაგრებელი წყლების ბარი პირველი ნახვისთანავე საზეიმო განწყობილებას ქმნის. თუ ყოველივე ამას დაუმატებთ ახალი რძისგან დამზადებულ ყველს, კარაქს, ახლადდაკლული ღორის მწვადს, გოჭს, კეცზე შემწვარ წიწილას, საკარმიდამო ბაღში მოწულ ხილსა თუ ბოსტნულს, შაშხსა და სოსის, დაგვერწმუნებით, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება, მით უფრო, რომ საზეიმო სუფრისათვის წინასწარ გადახდილი თანხა ხელსაყრელია რესტორნის ფასებთან შედარებით (ერთ კეცზე დაახლოებით 18-დან 21-მანეთამდე იხდებიან. ამასთან, იმ დღეს მორჩენილი სურსათ-სანოვაგე შემკვეთებმა აუცილებლად უნდა წაიღონ შინ).

საზეიმო სასახლეს გახსნის დღიდან სათავეში უდგას თავისი საქმის მცოდნე გიორგი ნაცვალაძე. აქ დასაქმებული მუშა-მოსამსახურეები ძირითადად ამავე სოფლიდან არიან, თითქმის ყველაფერი საათივით არის აწყობილი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადაიჭრა ერთი პრობლემა — ობიექტს საკვები ბაზის შესაქმნელად ტერიტორია არ გააჩნია. გასულ ზაფხულს აქაური ფერმები და მურნეობები რომ არ დაეზარალებინათ, სტავროპოლის მხარისა და ასი მანქანა თივა ჩამოიტანეს, მაგრამ ძროხებს, რომლებიც დღემდე 10-12 ლიტრ რძეს იწველიან, სანამდე ეყოფთ ეს საკვები? მესაქონელობის განვითარებისათვის აუცილებელია საკვები ბაზის შექმნა, თორემ შეიძლება ექსპერიმენტი ხელი შეეშალოს.





იულია კურმანსკაია

— კი მაგრამ ამდენ რძეს როგორ იყენებთ? — ვკითხეთ ღირეკტორს.

— ჩვენთან, წყალი რომ წყალია, წვეთიც არ იკარგება უჭმად, რძეზე კი ქალბატონი მზიაც მოგახსენებთ, — გვეუბნება ღირეკტორი და ცეკავშირის საზღვების სამმართველოს უფროსს მზია ვბრაღიძეს გვაცნობს.

— მას შემდეგ რაც ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გვაჩაღეთ, ჩვენთან ერთ სულზე ალკოპოლის მოხმარების ნორმა საგრძობლად შეიზღუდა, — გვითხრა ქალბატონმა მზიამ, — მთელი ყურადღება უალკოპოლო სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადებაზე გადავიტანეთ. ერთ-ერთ დარბაზში სასაქარლამო გავხსენით, სადაც ნამცხვრები და ტორტები მხოლოდ საკუთარი წარმოების მასალებით მზადდება. რატომ მაინც და მაინც სასაქარლამო? იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს კონკურენცია გავუწიოთ იმ კერძო პირებს, რომლებიც შინ ძვირად იღებენ შეკვეთებს. ამიერიდან ჩვენს ქალებს შესაძლებლობა ექნებათ წინასწარ დაუკვეთონ „თელეთის“ სასაქარლამოს თავიანთთვის სასურველი ნამცხვარი, რომელიც ახალი კარაქით დამზადდება. სასაქარლამო მზია პროდუქტს დანიშნულების ადგილზეც მიიტანს.

ასე რომ, ჩვენო ძვირფასო ქალებო, საზეიმო სასახლე „თელეთი“ დაგემარებთ საგრძობლად დაზოგოთ დრო და ენერგია და თქვენთვის ხელსაყრელ ფასად უმცირეს დროში დაგიმზადონ საჭირო და სასურველი ტკბილეული — ტორტი, ნამცხვარი.

გელით ექსპერიმენტული „თელეთი“!

მზია ზიზიაშვილი



## რარიზ გვენაუბი...

სალომე უანჩელი აღარა გვეყავს... წავიდა ქალი, საზომი ქალღუბისა და მშვენიერებისა... წავიდა მსახიობი, საზომი შთაფენებისა და სცენური მომხიბვლელობისა...

უსაზღვროა ჩვენი საზოგადოების დანაკარგი... უსაზღვროა ჩემი დანაკარგი...

ვუსურებდი მას უკანასკნელ სამოუველში. სავადმყოფოს ქათქათა სარეცელზე მიჯკვულს და იქაც კი კლწია და მომხიბვლელი იყო, იქაც არ წუწუნებდა და მომავალს, რომელიც არ ჰქონდა, გეგმავდა. ავსტრალია, სადაც ახლა უიმისოდ გაემგზავრა რუსთაველის თეატრი, ძალზე შორს არის და ვერ წავადლო... ორი დღის შემდეგ კი წავიდა შორს... ბევრად უფრო შორს...

არასოდეს ასე ახლოს არ ჩამოუვლია ჩემთან სიკვდილს, როგორც ახლა... ჩამოიარა და ფრთები შემიღწა... ერთ საოცარ თვისებას კი ვერ წაართმევ სიკვდილს: როგორც კი აღმიანს დაესაკუთრება, მთელი სიგრძე-სიგანით გამოაჩენს მის ყველა ღირსებას.

ახლაც წამოიშალნენ სალომეს სცენური გმირები: სიყვარულის თეთრი გეი — ესმა, ლამაზი მებრძოლი — ცაბუ, გამჭრიახი მაქანკალი — ხანუმა, სამეფო გვირგვინისათვის კლანჭებადქცეული ელისაბედ დედოფალი,

შეუვალი კლდე — ბერნარდა ალბა; წამოიშალნენ და გვაჩვენეს ელფარებით გასხვოსნებული სახე მსახიობი ქალისა, თვითნაწილი სახისათვის რომ მიუცია სულის ნაწილი. ახლა კი ამდენ სახეში ჩახაზლებული სულ მოზღვავდა და ცრემლებად ეპყრა მის სამარეს...

ორმოცი წელი ერთად გავატარეთ, სოხუმის თეატრშიც ერთად ვმუშაობდით, ერთი როლიც გვითამაშია, გვიამათია, გვწვინია და გავგზარებია, ზოგი რამ შეგვშლია და მაინც ერთნი ვიყავით... შემდეგ რუსთაველის თეატრში გადმოვედით, ერთნაირი სურვილით და მიზნებით გვიცხოვრია, სიყვარულის ნექტარიც გვისვამს და მისი დაკარგვის შხამიც... შენ უველაფერი იცოდი და არაფერს იმჩნევდი... მუდამ შენს სახთუმალთან მყოფ მედღეა ჩახავასთანაც კი არ მოტეხილხარ, სიკვდილსაც ღირსეულად შეხედი, ღირსეულ ქალო!

მშვიდობით, ჩემო სალომე! მე შენი თავუანისმცემელი მყურებელიც ვარ და მონუსხული პარტნიორიც, მე სოხუმშიც ვარ და თბილისშიც ერთად!

უველა თავს გიბრით, კარგო!..

ელენე საყვარელიძე

# ფორმალური თანასწორუფლებიანობა



მაგლის კალენდრებზე, რომლებიც ავსტრიაში გამოდის, 8 მარტი წითლად არ არის აღნიშნული. ეს იქ ჩვეულებრივი სამუშაო დღეა, რაც თავისთავად საშუალებას გვაძლევს განვსაჯოთ, თუ როგორ ცხოვრობენ ქალები ალბების რესპუბლიკაში. ავსტრიის კონსტიტუციის თანახმად კაცებისა და ქალებისათვის კანონი ერთია, მაგრამ კანონი რჩება და ფაქტები კი იმას მოწმობს, რომ საქმე სულ სხვაგვარად არის.

— მე უმუშევარი ვარ. დილაღრიანად გავდივარ შრომის ბირჟაზე, შემდეგ კი ერთი ფორმიდან მეორეში მიხდება სირბილი. ექვს თვეს ვიმუშავებ კბილის ექიმთან ექთნად. მე მუდამ იმას ვოცნებობდი, რომ ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტი ვყოფილიყავი. სამწუხაროდ უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ქალებს უკვე აღარ სურთ ეს პროფესია, თუმცა კი მე მზადა ვარ ყოველგვარ სამუშაოზე თანხმობა განვაცხადო — აღიარა 18 წლის ლ. სილიამ ავსტრიის გავითის „ფოლკსშტამის“ კორესპონდენტთან. მისი ბედი ტიპობრივი მაგალითია, თუ როგორ „ზორციელდება“ ხელისუფლების მაღალფარდოვანი ღოჭუნები: „ქალებსა და კაცებს ერთნაირი უფლება აქვთ პროფესიის არჩევისა“; „ქალიშვილებო, აირჩიეთ ახალი პარტნიორები!“ როგორც სტატისტიკა მოწმობს, ახალგაზრდა ქალების 70 პროცენტი, რომელთაც შეუძლიათ მოწოდებად იყვნენ წარმოებაში, „განწირული“ არიან პარიკმახერებად, მდივან ქალებად და ნოქრებად იმუშაონ. დანარჩენი პროფესიები, წესის მიხედვით, „ძლიერი სქესის“ წვედრია.

კაპიტალიზმის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია აუარესებს ქალთა მდგომარეობას. მაგალითად, სპეციალური ხელსაწყოების, თანამედროვე სალაროების გამოყენება, გაუძლეული საქონლის რეგულირებული აღრიცხვა ქალთა მიერ დაკავებულ 350 ათას სამუშაო ადგილს გაუქმებით ემუქრება. პატარა ქვეყნისთვის — ავსტრიისთვის ეს მეტად დიდი რიცხვია. ე. წ. წარმოების „რაციონალიზაციის“ და სამუშაო ძალის შემცირების შემთხვევაში დაბოვანის პირველი კანდიდატები ქალები არიან. ისინი უკვე შეადგენენ „ზედმეტი ხალხის“ არმიის მნიშვნელოვან ნაწილს — 136 ათას ქალს.

ქალები იჩაგრებიან დისკრიმინაციითა და მცირე გასამრჩელოთი: ერთი და იმავე სამუშაოსათვის ისინი 30—35 პროცენტით მცირე ხელფასს იღებენ, ვიდრე კაცები. 1953—1982 წლების პერიოდში, ქალთა და კაცთა მიერ შეტანილი ერთი და იგივე სამუშაოსათვის მათი ხელფასის განსხვავება ორჯერ გაიზარდა.

თუმცა იქ „თანასწორ უფლებებზე“ ლაპარაკობენ, ალბების რესპუბლიკის ქალებს უჭირთ სამსახურებრივი კიბის საფეხურებზე ასვლა და თვით უმაღლესი განათლების მიღებაც კი. მომუშავე ქალთა უმრავლესობას არა აქვს სპეციალური განათლება, კაცებთან შედარებით იშვიათად უჭირავთ ხელმძღვანელის ადგილი. თუ სამრეწველო წარმოებაში ბრიგადირ და ოხტატ კაცთა რაოდენობა 39 ათასს აღწევს, ქალები მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენენ.

ექვსია, სამზარეულო, ბავშვები. — ავსტრიელი ქალებისათვის ასეთი იდეალი სურდათ შეენარჩუნებინათ, მაგალითად, ავსტრიის სახალხო პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს გამოხატავენ. რაც უფრო მეტად არის ქალი თავისი მცირე სამყაროსათვის ზრუნვით დატვირთული, მით უფრო ნაკლები საშუალება აქვს შეებრძოლოს მძიმე მდგომარეობას, შეუერთდეს თავისი უფლებების განხორციელებისთვის მებრძოლ თანამოაზრეებს.

მაგრამ ავსტრიელ ქალებს არ სურთ „ექვსიის, სამზარეულოს და ბავშვების“ პროგრამის მიღება. ისინი იბრძვიან ნამდვილი და არა ქალადღე არსებული თანასწორუფლებიანობისათვის, ავსტრიის რესპუბლიკის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალის როლის ზრდისათვის. მათ მხარს უჭერენ ქვეყნის პროგრესული ორგანიზაციები, უწინარესად კი ავსტრიის კომუნისტური პარტია.

...ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ კონვენციას ავსტრია აწერს ხელს. მაგრამ, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, ავსტრიელი ქალები შედევან ვერ გრძნობენ.

ბ. სმიონოვი,

საკლესის კორესპონდენტი.

ცა დრუბლებით და წვიმით სავსეა, გაზაფხულია, მეტი რა მინდა, გადასახდენი რაც ჩემს თავზეა, ძარღვებში თბილი სისხლივით მიდგას. და ჩემი სული, ჩემი-სხეული, ხარბი და-მთფრი-სწნებისგან შიდაცხ, ნოვდივარ ფრთხილად და შეჩვეული მეძახის ჩემი მამულის მიწა.

რა არის ტრფობა? — ისიც ქალია, მშვენიერი და ძლიერი ყოფით, მწარეა მწარე, მწარე ძალიან და ეს სიმწარე ღზინადაც მყოფნის.

დახარჯულია წლები თავნება, დასახარჯი კი თავისით მოდის, მე აღარ ვეძებ, არც შენანება სხეული, ბუღე ყოველგვარ ცოდვას

რაც ვიყავი და ის რაც ახლა ვარ, ქართლის მინდვრების სუნით მაბრუნებს, მე ქალი ვარ და ჩემი ქვეყანა თესლივით ჩუმადა თქვენში მაბრუნებს.

თუ კი გადავრჩი, დავრჩები აქვე, მე ერთი დერი სუსტი ბალახის და დაეშვება აპრილი თავქვე ნისლით, მზითა და სოფლის ტალახით. ქარბორიალი გაიტანს ლელოს, ფერადი წვიმა მოვა მარაბლით და მე ვიქნები ბალახის დერო, შკაცრი, უგულო ზამთრის ნახვამდის.

ისევ წკრაილებ და მინთებ ალებს, ისევ მომძებნენ და დამუფუფე, ვარსკვლავო, როცა ეახელ თვალებს ჩემი დარღების გახლი მეუფე. ჩახეული მაქვს შენი ცით გული და შენატრება სამცხის ქედები, იქ მოაფრენენ ჩემს ყველა სურვილს სიზმრად ნანახი თეთრი ქედები. ფიქრთანად და ტკივილიანად დიდი სინათლით როცა შევკრთები, მე მავინა გგრძნობ ჩემში მოთლიანად შენი ცითა და შენი ღმერთებით.

ლია პრჩვამე

# შვილბის კახილი

მასწავლებლის ჩანაწერები

რედაქციის ფოსტაში ასეთი წერილებიც არის: დედამ შვილები ცის ანაბარად დატოვა...

ორი წელი გოგონას მშობელმა, უმაღლესი განათლების ქალმა მიატოვა ოჯახი, ქმარი და ახალი, მეორე „გულის-სწორი“ იპოვა. ახლა იქ შეილიც შეეძინა, ახალი ოჯახიც გამართა და პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა; საზოგადოებაში და კოლექტივში ცდილობს თავისი წარსული დამალოს.

მიტოვებული ბავშვები ბებიასთან დარჩნენ. მამამაც შეირთო ცოლი, მასთან შვილები შეეძინა და ცალკე ცხოვრობს. ისიც „ვერ იცლის“, რომ გოგონები ხშირად ინახულობს.

ათი წელია ბებია ზრდის შევიძინებებს და დადარდინებული შესცქერის ბავშვების ნაღვლიან თვალებს, გამუდმებით რომ ეკითხებიან: „ბებო, დედა სად არის?“

გულქვა დედას ნერვი არ უტოვავს, რათა ინახულოს მაინც უკვე გაზრდილი შვილები.

მშობლის უკადრისი საქციელი აღაშფოთებს ვარშემომყოფთ და განსაკუთრებით ბავშვების მასწავლებელს. გულისხმიერ პედაგოგს პატარების ყოველდღიური ცხოვრება, მათი სულიერი ტანჯვა აფიქრებს. მან უგულო დედას ბარათი მიხწერა, თხოვდა შვილები ნახო. პასუხი რომ ვერ მიიღო, წერილი ჩვენთანაც გამოავაჯანა...

## ორი დედა

დედას შეიძლება ჰქონდეს დიდი, ძალიან დიდი გული, რომელიც ათას წერილმანსა თუ მსხვილმანს დაიტევს, მაგრამ ორი გული ერთ დედას არ შეიძლება ჰქონდეს. თუ აქვს, ის ორგულა ანუ „ორი დედა“ იქნება.

მაგალითად შენ — დედა, რომელმაც ორ წელიწადში ორი გოგონა გააჩინე, ორი ანგელოზი, ორი ხატი, მერე ეს ანგელოზები მამის მიატოვე, სანამ ფრთები ამოუვიდოდათ (უფროსი ერთი წლისა და ოთხი თვისა, უმცროსი — 6 თვისა), შენი ნებით წახვედი, შენი გადაწყვეტილებით. არავის მოსძულეხნარ, პირიქით...

მერე? მერე წლები ისე გარბოდა, როგორც წამები. ეს შენთვის, თორემ შენი გაჩენილი შვილების გამზრდელი ბებიისათვის თვითოეული წელი საუკუნეს უდრიდა. რამელი ერთი ედარდა და ეზრუნა — აქეთ უსუსური ბავშვები, იქით გამწარებული ოჯახი, უფრო იქით კი სირცხვილი და თავის მოჭრა (ისევ ამათ, თორემ შენ რა?).

რინ? წახვედი. ისე გაიქვავე გული, რომ

ათი წლის მანძილზე ერთხელაც არ გინახავს შვილები, არ დაინტერესებულხარ როგორ იზრდებოდნენ, რანაირები გახდნენ...

ასე მიატოვე ოჯახი, ბავშვები, ქალაქი... მერე თურმე გათხოვდი (მგონი მანდაც ოჯახი დაანგრე, ასე ამბობს ხალხი), ყველას უმაღლავდი, რომ შვილები გყავდა.

შვილიც გყვოდა და, დაიბადა ახალი, მზრუნველი, ალენისანი დედა. დედას რომ გეძახის როგორ ეგუები? თუმცა, შენ ხომ მეორე გულიცა გაქვს, — მეორე დედის გული.

## პროწილა კაბა

(შენი შვილბის დიალოგი ბავშვთან)

— ბებო შენც შეიკერე რა, პროწილა კაბა!

— რა შვილო, როგორი?

— პროწილა კაბა, ბებო, აი ისეთი, გიას დედიკოს რომ აცვია!

— ჰოო, მოგიკვდეთ ბებო, გიას დედიკო — დედიკო, მე კი ბებო ვარ, შვილო, არ შეიძლება.

— ბებო ნუ ტირი, რა! არა, ნუ შეიკერავ პროწილა კაბას, არ გვინდა. დედიკო რომ ჩამოვა, ხომ შეიკერავს, ბებო?

— ჰო, შვილო, ჰო, კარგად გახდება, ჩამოვა და შეიკერავს...

## გველბაჰის ტყვეობაში

შენი უმცროსი, თვალბატულა გოგონა ჩემი მოსწავლეა. ოთხი წელიწადი ჩემს თვალწინ ტრიალებდა, მაღლდებოდა, ჰკუა-გონება ემატებოდა. ცხრა თვე ხომ სწავლავ. ცხრაჯერ ოთხი ხომ ოცდათექვსმეტი თვეა, მერე დღეებზე გაამრავლე და ეს დღეები საათებზე. ახლა ის უძილო ღამეებიც მიამატე, ბავშვის ცრემლების დანახვაზე რომ ვათენებდი (შინით დედას ვერ ვახსენებდი). მგონი ცოტა ამაგი გამოვიდა, არა? ასეა, რადგან შენი უმცროსი ბევრჯერ ჩამკვრია გულში შესვედრისას თუ გამომშვიდობებისას, მაგრამ შემოუხვევია მკლავები და იმ წამებში მე მისი პატარა გულის საიდუმლო უთქმელად გამიგია. მე ის ძალიან მიყვარს.

ახლა ნამდვილი ზღაპარი უნდა ვიამბო... ერთხელ, კლასკარტზე კითხვის გაკვეთილზე ზღაპარს არჩევდნენ ბავშვები. ზღაპარი და სინამდვილე უნდა გაერკვიათ.

მფრინავი ხალიჩა — ახდა, ჯადოსნური სარკე — ახდა, მაღმესობოლელი, — ესეც, რასაკვირველია!..

უნებ, შენი გოგონა ადგა და რაღაც მკითხა. შევხედე, — გაფითრებულია, სულ ცხ-

ცახებს, ქვედა ტუჩი კბილებით უჭირავს, პაწია მუშტები მაგრად მოუკუმშავს და მიყურებს. კლასი სულგანაბული მომჩერებია. ოცდათხუთმეტი წყვილი თვალი პასუხს მთხოვს...

რა მკითხა?

— მასწავლებელო, ცხრათავიან გველეშაპს რომ დედა ჰყავდა მოტაცებელი, მზე-ჭაბუკი რომ გოგო ყოფილიყო, დედას უკან წამოიყვანდა? შესძლებდა?

— რა ვუპასუხე? ვერაფერი, რადგან ბავშვებს კარგად ახსოვთ, როგორ ატირდა მასწავლებელი...

ასე დამთავრდა გაკვეთილი — ზღაპარი და სინამდვილე.

## „მერე გე რაღა ვინა?“

დაწყებით კლასებში ბავშვებსა და მასწავლებელს შორის ისეთი თბილი, ახლო დამოკიდებულებაა, რომ ძნელდება მათი განშორება.

უხსნი, ვარწმუნებ, რომ მუდამ მათთან ვიქნები, ყოველდღე ვინახულებ, მაინც ტირიან, გულში მეკვრიან.

გვრძნობ, ჩემს სიტყვებს ძალა ეკარგება; ბუნებრივად აღარ გამომდის ნათქვამი, რადგანაც თვალები ცრემლით მაქვს სავსე.

მინდა დაბაბულობა განემუხტო და ვთხოვ: — აირჩიეთ თავისუფალი თემა, სათაურიც თქვენ მოუძებნეთ და დაწერეთ. დაწერეთ რაც გინდათ და სახსოვრად დამიტოვეთ.

ყველამ ერთი თემის დაწერა ისურვა: „გამომშვიდობება მასწავლებელთან“, ან „ჩემი დაპირება“, კიდევ — „ჩემი მასწავლებელი“.

თემის სათაურები რომ მაცნობეს, ვთხოვე გულახდილად დაეწერათ რასაც ფიქრობდნენ, გვარსა და სახელსაც ნუ მიაწერდნენ და საიდუმლოდ შევუნახავდი ნაფიქრალ-ნააზრევს. (მე ხომ ნაწერსაც ვცნობ თითოეულისას).

გათამამდნენ და გახალისდნენ. რა კარგად დაწერეს!

მერე, მე მათი სურათები მოვინახე — ოთხი წლის მანძილზე გადაღებული და ნაწერებთან ერთად ალბომში ჩავაკარი — მათგან სახსოვრად.

შენი გოგონას თემა წაეკითხე. გაინტერესებს რა დაწერა? — მხოლოდ ერთ წინადადებას გეტყვი: „ნეტავი არა გვტოვებდეს ჩვენი მასწავლებელი, როგორ მინდა, რომ არ ღაგეტოვოს, მერე მე რაღა ვინა?“...

დანარჩენი? — ჩემთან თუ მოხვალ, წაგაკითხებ...

# „ოსნება“ ნიუნაპს სილაპაზუს



თუ ერთხელ მაინც შეგიხედავთ რუსთაველის გამზირზე ახლადგახსნილ სალონში, რომელსაც „ოსნება“ ჰქვია, ყველაზე მოუცლელი ქალიც კი სიამოვნებით დაკარგავს წუთებს იმ ატულიერი კმაყოფილებისათვის, აქაური გარემო რომ ანიჭებს ადამიანს: გარემო შემთხვევით არ ვახსენეთ. იქ, სადაც ყველაფერი მშვენიერია — შენობიდან დაწყებული წვრილმან საგნებამდე, სადაც სიმყუდროვესა და საკუთარი თავისადმი პატივისცემას გრძნობ, მიგიხარია.

რეკონსტრუქციის შემდეგ ძველი სილაპაზის სალონი სრულიად გარდაქმნა. არქიტექტორებმა — ოთარ ლოლაშვილმა, მერაბ შარაშენიძემ და თამაზ გიორგაძემ თითქმის თავიდან დააბრუნებეს შენობა. თუმცა ფასადს მიღმა ყველაფერი შეიცვალა, — მომსახურების სფერო კი უკვე დარჩა. კვლავინდებურად მუშაობს ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა საპარიკმახეროები, თმის შესაღები, მანიკიურისა და პედიკიურის განყოფილებები, კოსმეტიკის კაბინეტი, თვალს ახარებს ორიგინალური თეჯირებით გადატვირთული ფართო, ნათელი ოთახები. თითოეული განყოფილების წინ კომფორტული მოსაყიდვლები, ტელევიზორი, უფრანღაზეთები, გემოვნებით გაფორმებული ინტერიერი, სუფთა, ნათელ ფერებთან შეხამებული საუცხოო ტანსაცმელი, ყუვილებიანი ლარნაკები, კაფე-ბარი... ჰოლში, სპეციალური ელექტროტაბლოს დახმარებით მოღარე ნაცნობებთ თავისუფალი მარადის ხომერს. შობაბეჭდილება უფრო ძლიერდება, როცა უშუალოდ ხელოსანს ხვდებით. ვთქვათ, საპარიკმახეროში გაქვთ საქმე. აქაც, როგორც სალონის ყველა სამუშაო აუთხეში, გფრ-ის ფირმა — „ველლას“ სპეციალისტების მიერ დამონტაჟებული დანადგარებია. ამიერი-

დან იმის შეღებვა, შეჭრა და დახვევა წვალეზად კი არა, სასიამოვნო პროცედურად გადაგექცევათ. რბილი, მოძრავი საფარძლები, საუკეთესო პარფიუმერია, იქვეა თავსაბანი, შორს წასვლა აღარ დაგჭირდებათ. ესთეტიკური გარემო თავისთავად ცვლის დამოკიდებულებას ხელოსანსა და მომხმარებელს შორის, — თითქოს მეტი სიმშვიდეა ურთიერთობაში, მეტი კეთილგანწყობა.

დღეს დედაქალაქს თამამად შეუძლია თავი მოიწონოს როგორც თავისიანების, ისე სტუმრების წინაშე. სალონს მიენიჭა უმაღლესი კატეგორია — ლუქსი. შესაბამისად შეიცვალა მომსახურების ხარისხი, ტექნოლოგია, აღჭურვილობა, მომარაგება. მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სპეციალურ კონკურსზე შეარჩიეს საუკეთესო ხელოსნები. მათთვის შეიკურა საჯანგებო სპეცტანსაცმელი „ოცნების“ ემბლეტით. სალონი საზეიმოდ გაიხსნა ახალი წლის წინ. მან უკვე მიიღო უამრავი სტუმარი, მიემსახურა საქალაქო პარტიული კონფერენციისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებს. მთელი კოლექტივი (დირექტორი დარეჯან ბეჟუაშვილი) იბრძვის მომსახურების სანიმუშო კულტურისათვის, სათუთად უფრთხილდება ყველაფერს, რაც ასე აკეთილშობილებს და ამშვენებს აქაურობას. ამასვე მოითხოვენ თვითეული მოქალაქისაგან. დაუდევრობამ შეიძლება ბევრი რამ წაახდინოს. კარგი ტრადიცია დიდხანს შეუწარმუნებს სალონს ღირსეულ სახელს.

სხვათა შორის, აქ თქვენი ძველი ნაცნობი ოსტატებიც შემოგხვდებიან. ვერა ალიბეგაშვილი, ნადეჟდა ცომაია, იური აკოფოვი... ისინი კმაყოფილები არიან სალონის ფერისცვალებით. — 34 წელია ვმუშაობ





და ასეთ ლამაზ გარემოში არასოდეს ვყოფილვით, — გვითხრა ქალბატონმა ვერამ. კმაყოფილია მომხმარებელიც.

„ოცნება“ თქვენც გიხმობთ თავის მყუდრო დარბაზებში.

თუ ჩსურთ გქონდეთ ლამაზად დაუარცხნილი თმა, მშვენიერი ხელები, ატმის ყვაფილივით ნაზი სახის კანი და კარგი განწყობილება, — გამონახეთ დრო და ეწვიეთ „ოცნებას“.

**ლილი გერაუჭილი**

# სახელმწიფო კურსები

საბავშვო ტოლმა

ბრინჯი კარტოფილით

## ბრინჯიანი კომბოსტოს კერძი

მონალეთ კომბოსტოს ფოთლები და და-  
ამუშავეთ ჩვეულებრივ, როგორც ხორციანი  
ტოლმისთვის. 1 ჩაის ჭიქა ბრინჯი ოდნავ  
მონარშეთ. გადაავლეთ წყალი და მოათავ-  
სეთ საწურზე. მოშუშეთ კარაქში, ერბო-  
ში ან ზეთში 4-5 თავი წვრილად დაჭრილი  
ხახვი და ასევე წვრილად დაჭრილი 4-5 ცა-  
ლი სტაფილო. კარგად რომ მოიშუშება შიგ  
აურიეთ გაწურული ბრინჯი. უუავით მარბ-  
ლი. წვრილად დაჭრილი ოხრახუში, რეზანი  
და 3-4 კბილი ნიორი. მიღებული ფარში  
თვალის ზომით დაუავით იმდენ ნაწილად,  
კომბოსტოს რამდენი ფოთლიც გაქვთ.  
შემდეგ ფარში გაახვიეთ ფოთლებში, ჩაალა-  
გეთ ქვაბში, დაასხით ადუღებულ წყალში  
გახსნილი 250 გრ არაფანი ან ადუღებულ  
წყალში გახსნილი 100 გრ პამიდვრის პას-  
ტა, ან 1 ჩაის ჭიქა პამიდვრის საწებლა.  
თუ ახალი პამიდორი გაქვთ 500 გრ კანგა-  
ლილი და შეჭყლეტილი ან ხორცსაკებ მან-  
ქანაში გატარებული პამიდორი და ნახევარი  
ლიტრა ადუღებული წყალი. (ყველა შემთხ-  
ვევაში ტოლმა უნდა დაიფაროს წყლით).  
შედგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ 20-30  
წუთი.

როგორც უხორცო ტოლმისთვის, ასევე  
მოშუშეთ ქვაბში 4-5 თავი ხახვი. კარგად რომ  
მოიშუშება, ჩაყარეთ ქვაბში ძალიან წვრი-  
ლად დაჭრილი 800-700 გრ კომბოსტო,  
100 გრ ოხრახუში, ცოტა რეზანი, 3-4 კბი-  
ლი ნიორი, მარილი და კარგად აურიეთ.  
შემდეგ კომბოსტო ქვაბის ნაპირებისაკენ გა-  
წიეთ ისე, რომ ქვაბის შუაგული იყოს ცა-  
რიელი და იმ ადგილზე „ღრმულში“ მოა-  
თავსეთ ნახევარი ჩაის ჭიქა გარეცხილი  
ბრინჯი. დაასხით 1 ჭიქა ტომატი, საწებლა  
და იმდენი წყალი (ადუღებულო), რომ კომ-  
ბოსტო დაიფაროს. შედგით ნელ ცეცხლზე  
და ადუღეთ 20-30 წუთი. (თუ ახალი პამი-  
დორი გაქვთ მოამზადეთ ისევე, როგორც  
ტოლმისთვის).

უხორცო ტოლმასთან, ან ბრინჯთან კომ-  
ბოსტოს კერძთან ერთად, შეგიძლიათ სუფ-  
რაზე მიიტანოთ შემდეგნაირად მომზადე-  
ბული ბრინჯი:

სახელურიან, განიერ და მაღალ ტაფაზე  
დაასხით 1 ღვინის ჭიქა ზეთი და ზედ გულ-  
დაგულ დაალაგეთ ბრტყლად დაჭრილი კარ-  
ტოფილი (თუ კარტოფილი მომცრო ზომი-  
საა, შუაზე დაჭრილი, თუ მოზრდილია სა-  
მად დაჭერით) ისე, რომ ტაფის ძირი მთლი-  
ანად დაიფაროს. (ალაგ-ალაგ შეავსეთ კარ-  
ტოფილის პატარა ნაჭრებით), დაყარეთ ზე-  
მოდან ორი ჩაის ჭიქა ბრინჯი, ოდნავ მო-  
ხარშული, წყალგადავლებული, გაწურული  
და მარილ მოყრილი. ბრინჯი რომ ტაფის  
კედლებზე არ მიიწვას, მოწიეთ ნაპირები-  
დან ბრტყელი დანით და მიეცით კონუსის  
ფორმა, ბრინჯის შუაგულში და აქა-იქ გა-  
დაანაწილეთ 100-150 გრ კარაქი. ტაფას  
დაახურეთ თავსახური და შედგით ნელ ცე-  
ცხლზე. დროდადრო ახადეთ ხოლმე და თავ-  
სახურიდან გადმოწურეთ ორთქლი. რომ  
მომზადდება, დიდი გაშლილი თევში ხუფი-  
ვით მოარგეთ ტაფას და მოხერხებულად  
გადმოაპირჭავთ, ისე, რომ ძირში დაბრა-  
წული კარტოფილი ზემოდან მოექცეს.  
ბრინჯი შეგიძლიათ მიირთვათ თქვენთვის  
სასურველი მურაბით.

ბარეპანის პირველ გვერდზე — დ. იაკობაშვილის ფოტოგრაფიული; მეორეზე — ხუან ანტონიო დე ვრიასი-ი-იხსკალანტის  
ფერწერული ნამუშევარი.

მთავარი  
რედაქტორი  
მარია  
ბარათაშვილი  
Главный редактор  
МАРИКА  
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გაფინდუაშვილი, ნ. ბურჯენია, ლ. კაპაბაძე, ზ. კვაბა-  
ძე, ნ. კილასნიანი, თ. ლაშაბაშვილი, მ. ლომთათიანი, ნ. შვანიანი, პ. ჟღერაძე,  
ც. ბარეპანაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალვაშვილი, ლ. შაფირაძე, ნ. ცაგარეი-  
შვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიანი (პ. მგ. მდივანი).

საქ. კვ ცენტრალური  
კომიტეტის  
გამომცემლობა

ტექნიკური ნ. ბუბია

შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.  
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68,  
მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილებების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4. 02. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭ-  
დოდ 14. 03. 86 წ., ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.  
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000 შეკვ. 315 უე 05050



6/13/60

